

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

6
1983

# 1 ივნისი—ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე



დ. იაკობაშვილის ფოტო.

**კონცერტის წინ**

აშხაბადის ნორჩ შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი **მაია შამუგია**

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალენტინა ტერეშკოვა

ოცი წელი შესრულდა ვალენტინა ტერეშკოვას კოსმოსში გაფრენიდან.

გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარეს, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ვალენტინა ტერეშკოვას ჩვენი ჟურნალის რედაქციისა და მკითხველების სახელით მხურვალედ მივესალმებით, ვულოცავთ ამ ღირსსახსოვარ თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას და მადლობას მოვახსენებთ გულთბილი წერილისათვის, რომელსაც, ვ. ტერეშკოვას მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად, ვთავაზობთ მკითხველს.




ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა დაიბადა 1937 წლის 6 მარტს იაროსლავლის ოლქის სოფელ მასლენიკოვოში, კოლმეურნის ოჯახში. მამა ომში დაეღუპა — დედა ადრე დაქვრივდა, ოჯახში სამი ობოლი ბავშვი დარჩა.

მუშაობა ვ. ტერეშკოვამ 17 წლისამ დაიწყო — ჯერ საბურავების ქარხანაში, შემდეგ კი საფეიქრო კომბინატში; წარმოებისგან მოუწყვეტლად დაამთავრა ახალგაზრდობის სკოლა და დაუსწრებლად — საფეიქრო ტექნიკუმი.

კოსმონავტად გახდომაში მას საპარაშუტო სპორტი დაეხმარა, რომლის დაუფლებას 1959 წელს შეუდგა იაროსლავლის აეროკლუბში, როცა კომბინატში მუშაობდა ის 163-ჯერ გადმოხტა პარაშუტით. 1962 წელს მამაცი პარაშუტისტი კოსმონავტთა რაზმში ჩარიცხეს. კოსმონავტთა რაზმში ყოფნისას ვ. ტერეშკოვამ კოსმოსური გაფრენისათვის მზადების კურსი გაიარა და ოფიცრის სამხედრო წოდება მიენიჭა. დღეს ის სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკია.

1963 წლის 16-19 ივნისს ხომალდ „ვოსტოკ" 6-ით ვ. ბიკოვსკისთან ერთად ჯგუფური გაფრენის დროს, სამი დღე-ღამის განმავლობაში 48-ჯერ შემოუარა დედამიწას. ხანგრძლივი კოსმოსური ფრენისათვის მამაც მფრინავ ქალს საბჭოთა კავშირის გმირისა და სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტის წოდებები მიენიჭა. 1969 წელს ვ. ტერეშკოვამ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია დაამთავრა, 1976 წელს კი დისერტაცია დაიცვა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა.

ვ. ტერეშკოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ამავე საბჭოს პრეზიდიუმის წევრია, სკკპ 24-ე, 25-ე და 26-ე ყრილობებზე ის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

ვ. ტერეშკოვა საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. მთავრობათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიწვევით ის ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის მრავალ ქვეყანას სწვევია, მშვიდობის უზრუნველყოფისა და ხალხთა უშიშროების პრობლემებისადმი, ქალთა უფლებების დაცვისა და ბავშვთა ბედნიერებისადმი მიძღვნილ ბევრ საერთაშორისო კონგრესზე, სიმპოზიუმზე, სემინარზე ყოფილა საბჭოთა ქალების დელეგაციათა მეთაური.

# ძვირფასო მეგობრებო!

საბჭოთა ქალების კომიტეტის სახელით ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებს, საქართველოს ყველა ქალს გულითადად ვულოცავ გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის ღირსშესანიშნავ წელიწადს, ტრაქტატისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს და რუსეთის ხალხთა ურღვევ ძმობასა და მეგობრობას. ჩვენი ხალხების ძმობა, ერთსა და იმავე დროს, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლაც არის, სოციალისტური საზოგადოების დაფუძნებისათვის გაწეული დიდი შრომაც, ფაშისტ დამპყრობთაგან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვაც. მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის 60 წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა, ყველა მოძმე ხალხთან ერთად, რთული, მაგრამ სახელოვანი გზა განვლო. ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის საბჭოთა საქართველო ოთხჯერ არის დაჯილდოებული სსრ კავშირის ორდენებით, აქედან ორჯერ — ლენინის ორდენით.

რესპუბლიკის ყველა წარმატებაში დიდია ქართველი ქალების წვლილი. ისინი თავდადებულად და შთაგონებულად შრომობენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, კულტურისა და მეცნიერების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგებში, მომავალ თაობას უზრდიან ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს ქალები დიდ და ნაყოფიერ შრომას ეწევიან მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის, დედამიწაზე სიცოცხლის ზეიმისათვის.

დღეს, როცა მსოფლიოს საერთაშორისო ვითარება უფრო და უფრო მწვავდება, საბჭოთა ქალები მიისწრაფიან, თავიანთი წვლილი შეიტანონ ბირთვული კატასტროფის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლაში, ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეებისა და მათი ნატოელი მოკავშირეების იმ ცდების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის მიზანია კაცობრიობას ახალი მსოფლიო ომი მოახვიოს. სკკპ 24-ე, 25-ე და 26-ე ყრილობების მიერ შემუშავებულ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში წამოყენებული ახალი სამშვიდობო ინიციატივებით შევსებულ მშვიდობის სტრატეგიას მხურვალედ რომ უჭერენ მხარს, ჩვენი ქვეყნის ქალები აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობის შრომითი ვახტის მოწყობაში, მშვიდობის საბჭოთა ფონდის შევსებაში, მშვიდობისაკენ მოწოდებისა და პეტიციების ხელისმოწერათა შეგროვებაში. ამ საქმეში დიდი და ნაყოფიერია საქართველოს სსრ ქალების მიერ გაწეული შრომა. მეც ვსარგებლობ თქვენი ჟურნალის მიერ შემოთავაზებული საშუალებით და მსურს საბჭოთა ქალების კომიტეტის სახელით საქართველოს ქალებს მივულოცო ეს კეთილშობილური მოღვაწეობა, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობაში შეტანილი ღირსეული წვლილი.

დასასრულ, ნება მომეცით საქართველოში მცხოვრებ ყველა ქალს ვუსურვო შრომითი წარმატებები, მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებების შესრულება, სკკპ 26-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება.

ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ და თქვენს ოჯახებს გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ყოველ სიკეთეს!

ვალენტინა ტერეშკოვა

მოსკოვი, 1983 წ. მაისი

## ხუთწლედის გმირი

# აი, ვის მივბაძავდით!

ნელიმ სკოლის დამთავრებისთანავე შეაღო გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მეორე სართავი ფაბრიკის კარი. ჯერ ნართის ჩამომხსნელი იყო, შემდეგ — მრთველი; ყოყმანობდა კიდეც, სწავლის გაგრძელება სურდა, მაგრამ სწავლა არასოდეს არ არის გვიან. ესეც არ იყოს, დედა ხომ ძველი ფეიქარია! დედის მაგალითი კი ყველაზე კეთილი მაგალითია. ელენე 27 წელია მრთველად მუშაობს. კომუნისტმა ქალმა შვილს ურჩია და დაიყოლია. მრთველის მუშაობა იოლი როდია, საშუალოდ ცვლაში 10 კილომეტრამდე მანძილს გადის. ტემპერატურა, ხმაური... ყველა ძაფს თვალის დაძაბვა ჭირდება. მასწავლებელი? ამ ქვეყნად დედაზე უკეთესი მასწავლებელი ვინ არის! დედა ედგა შვილს მხარში და დღესაც უდგას, თუმცა კი ნელი უკვე კვალიფიციური მრთველია. ისინი გვერდიგვერდით მუშაობენ. შედეგები? ნელის კალენდარზე 1985 წელია.

1981 წელს გეგმა 206 პროცენტით შეასრულა, 1982 წელს — 209 პროცენტით. გეგმის გადამეტებით 84 ტონამდე ნართი გამოუშვა. კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას თავკაცობს. საკავშირო ალკკ XIX ყრილობის შესახვედრად მისმა ბრიგადამ მხარი დაუჭირა ინიციატივას — „ლენინური კომკავშირის ექვს ორდენს — ექვსი დამკვრელური თვე!" ინიციატივა საქმედ იქცა. ნელი საკავშირო ალკკ XIX და საქართველოს ალკკ XXXII ყრილობების დელეგატია; იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს ალკკ გორის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის წევრად აირჩიეს. ეს ყველაფერი 22 წლისამ მოასწრო. საშუალო თვიურმა ხელფასმა 1982 წელს 425 მანეთი შეადგინა.

ნელი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით არის დაჯილდოებული. წინ დიდი გზაა.

რა კეთილია დედის კვალი!

...ნელის ველოდები. მანამდე კი ბამბეულის საწარმოო გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილესთან — ამირან დადიანიძესთან ვსაუბრობ.

— სად არის ნელი გელდიაშვილი?

— პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში უნდა შეევლო, გოგონებს არჩევს. მის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას შევსება სჭირდება. შესანიშნავი ხუთეული იყო: ლეილა მაჭარაშვილი, ნანა ვაშაძე, მარინე ფცქიალაძე და ნათელა ქოქაშვილი. გეგმებს 115-120 პროცენტით ასრულებენ. თითოეული სამ-სამ დაზგას ემსახურება,

ეს ხომ 1920 თითისტარია, ჰოდა, ნანა და მარინე გათხოვდნენ...

— მერე?

— კეთილი საქმეა, ვიდრე დაგვიბრუნდებოდნენ, აკვნები აქვთ მისახედი.

— შევსებას საიდან ელით?

— 39-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან ჩვენს ფაბრიკაში ორმოცდაათამდე გოგონა მუშაობს. მრთველები არიან და ნელი მათთან ტრიალებს. შევსება ღირსეული უნდა იყოს!

— პროფტექნიკური სასწავლებლის აღსხვა პასუხს არც ველოდი. ნანული მარტო გმირი როდია, ჩინებული მოქალაქე, დედა და აღმზრდელია. ახლა პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეა და მთელ ცოდნას და გამოცდილებას ახალგაზრდებს გადასცემს.

არ ვეშვები:

— მაინც რად ამოიჩერი გულში ნანული ჩერქეზიშვილი?

— იმიტომ, რომ ის, უპირველესად, ადამიანია!

იცის ნელიმ, რა დიდი ამაგი მიუძღვის შრომის გმირი ელენე გეგელაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, მქსოველი ნანული ჩერქეზიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მერი ტატუნაშვილი და თამარ დალელაშვილი.

ახლა გაერთიანებაში ეტაპობრივი რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ეს ისე ხდება, რომ მოქმედ საამქროებში ტექნოლოგიური პროცესები არ ფერხდება. გაუმჯობესდა ფეიქართა შრომის პირობები, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა 78 ათასი მანეთი შეადგინა.



მქსოველი ნელი გელდიაშვილი

საზრდელები რჩებიან თქვენთან სამუშაოდ?

— ძალიან ცოტანი. პროფსასწავლებელი რაღაც მაშველი ხიდივით გახდა უმაღლეს სასწავლებელში მისასვლელად. ამდენ ხარჯს კი ვეწევით... განა არ ვფიქრობთ მათ ბედზე? ლიმიტები ყოველთვის გვაქვს. არც გვენანება ისეთი მოწინავეებისათვის, როგორიც ნელია.

საუბარში ნელიმაც მოგვისწრო.

— ვის გინდა მიბაძო? — ვეკითხები მას.

— სოციალისტური შრომის გმირს ნანული ჩერქეზიშვილს!

ნანულის გორის ბამბეულის კომბინატის დავაჟკაცებაში. იცის ამ კომბინატის დაბადება. ამ ოცდათექვსმეტი წლის წინათ ლიახვისა და მტკვრის შესართავთან საფუძველი ჩაეყარა გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებას. პირველი ნართი მეფთილეებმა ევგენია სამადალაშვილმა და როზა ბაშინჯაყელმა ჩამოხსნეს. პირველი მეტრები ქსოვილისა ინჟინერმა მაყვალა ქოქრაშვილმა მოქსოვა. საფეიქრო გიგანტის აკვანთან იდგნენ სკკპ 22-ე ყრილობის დელეგატი ციალა ნოზაძე, სოციალისტური

მაგრამ მუშათა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებისათვის ზრუნვა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია.

და რაც მთავარია, ყველა, ვისაც ფეიქარი ჰქვია და გორის საწარმოო გაერთიანებისათვის გული შესტკივა, ღირსეული მოქალაქე უნდა იყოს, მაშინ საქმეც წინ წავა და თაობები იტყვიან: აი, ვის მივბაძავდით!

ბეგლარ ნოზაძე

მისი ადგილი ხუთწლედში



# პოეზია შრომას ახალისებს

სიყვითლე შეჰპარვიათ ფესვმაგარ მუხებს, ბუმბერაზ წიფლებსაც გაცრეციათ, გაფერმკრთალებიათ ფოთლები, წყაროზე ამავალ ბილიკზე ვერხვის ფოთლები მიმოფანტულა. შემოდგომის დამათრობელი სურნელი ტრიალებს ხიდეშლებში.

წლის ყოველ დროს ლამაზია რაჭის ეს მაღალმთიანი სოფელი, მაგრამ შემოდგომაზე მაინც სულ სხვაგვარი ელფერი დაჰკრავს აქაურობას. დიდი და პატარა ყანებსა და ბაღ-ვენახებში ტრიალებს, ყველა საქმით გართულა. შარაზე სიმინდით დატვირთული ურმები მიჭრიალებს. ზოგჯერ ცელქი სიო მიუალერსებს აფერადებულ ფოთლებს და ატყდება ნაზი შრიალი, ან ძდინარე საკაურის ხმას ამოიტანს ნიავი ჭალიდან.

მხოლოდ მარადიული თოვლით დაფარული მთები დგანან უძრავად და ამაყად, გადმოჰყურებენ ჭირნახულის დაბინავებაში გართულ სოფელს.

სწორედ ამ სილამაზემ, სიძნელეებთან ჭიდილის დაუოკებელმა სურვილმა ამოიყვანა მარიჯან ხიდეშელი სოფელში.

1975 წელს, ონის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, სამკერვალო ფაბრიკაში მივიდა. აქედან იწყება მისი შრომითი ბიოგრაფია. ხუთი წელი იმუშავა მკერავად. აქ ჩაუნერგა შრომის სიყვარული ბრიგადის ხელმძღვანელმა პასია გავაშელმა. ნიჭიერი, ბეჯითი გოგონა მალე დაეუფლა მკერავის პროფესიას. აქვე მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში და აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად. 1977 წელს „კომუნისტური შრომის დამკვრელის“ წოდება მიეკუთვნა, 1978 წელს „საუკეთესო მუშის“ სახელი მიენიჭა. ახალგაზრდისათვის ასეთი დასაწყისი ურიგო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარიჯან ხიდეშელს ეს არ აკმაყოფილებდა. სურვილი ჰქონდა უფრო მეტი წვლილი შეეტანა რაიონის საერთო წარმატებებში, ამიტომ მაღალმთიან სოფელ ხიდეშლებში დაბრუნდა თავისი სურვილით და მწველავად დაიწყო მუშაობა.

მან დილაადრიან შეაღო ფერმის კარი და ირგვლივ მიმოიხედა, ჯერ არავინ იყო მოსული, ხბოებსა და ძროხებს სადგომი დაუსუფთავა და სათითაოდ მიუალერსა.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა ქრისტინე ხიდეშელი, — შენ აქ მოსვლას ვერავინ დაგასწრებს!

მართლაც იშვიათად თუ მოასწრებს ვინმე ფერმაში მოსვლას მარიჯანს. უყვარს აქაურობა, განსაკუთრებით პატარა ხბოებს არ აკლებს მზრუნველობას. საქმე ბევრი აქვს ოცი ძროხის მომვლელს.

ძნელი იყო პირველი დღეები. არცერთი ახალგაზრდა არ ჭაჭანებდა ფერმაში, მხოლოდ ხანშიშესულები ტრიალებდნენ. დახბორების პერიოდი იყო, მარიჯანი ფერმაში რომ მივიდა. უთხრეს, რა უნდა ეკეთებინა. სოფელში გაზრდილს უცხოდ არაფერი მოსჩვენებია, მაგრამ მარტო რომ დარჩა, დაავიწყდა, რომელი ხბო რომელი ძროხისა იყო. საგონებელში ჩავარდა, ხბოები ბღაოდნენ და რძეს ითხოვდნენ. ის კი იდგა და არ იცოდა რა ექნა, ლამის ატირდა. ბოლოს ველარ გაუძლო მათს ცქერას და სახბორის კარი გააღო. თან იმის შიშით, რომ ხბოები დაიფანტებოდნენ, თვალები დახუჭა. ერთხანს იდგა ასე. თვალი რომ გაახილა, გაოცებული დარჩა, ყველა ხბო თავის მშობელთან მისულიყო და კუდის ქნევით მიირთმევდა გემრიელ ულუფას. მარიჯანს პირველ დღეს ძროხის მოწველაც გაუჭირდა, მაგრამ თანდათან აუღო ალღო ყველაფერს და თითებმაც თითქოს თავისით იწყო სწრაფად მოძრაობა. ახლა მუშაობაში არავის ჩამორჩება. შარშან სოცშეჯიბრებაში გამოიწვია თავისივე ბრიგადის მწველავი მერი ქაფიანიძე. და მასზე გაცილებით მეტი, წელიწადში 1900 ლიტრი რძე ჩამოწველა ერთ ძროხაზე, რისთვისაც უწერის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

მეცხოველეობის ფერმაში მარიჯანის გარდა რვა მწველავია: ზინა, სულიკო, მერი, ქრისტინე, თინა, თეო ხიდეშლები, მერი ქაფიანიძე, (ამ სოფელში ძირითადად ხიდეშლები ცხოვრობენ).

სოფელს თავისი რომანტიკა აქვს, თავისი განუმეორებელი სილამაზე, სიუხვე, ბარაქა. აქ შრომაც ფასდება და სიკეთეც, ისეთი სიკეთე, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ გაგყვება მეგზურად.

ამიტომ შეეჩვია ასე ადვილად მარიჯანი უფროს თანამოსაქმეებს; მოსვლისთანავე შენიშნა, რომ მათთვის ბევრი რამის მოგვარება იყო საჭირო: ხიდი ინგრეოდა, ბიბლიოთეკის შენობაში წყალი ჩამოდიოდა, სოფელში არ იყო რადიო, ტელეგადაცემებიც ჯერ არ ენახათ, არ ჰქონდათ სატელეფონო კავშირი რაიონის ცენტრთან, ერთი პატარა კლუბიც კი არ გააჩნდათ, სადაც სოფლის მშრომელები ახალ კინოფილმს ნახავდნენ ან საინტერესო ლექციას მოისმენდნენ. ექთანი ხომ სანატრელი ჰყავდათ.

მარიჯანმა ამ პრობლემების მოსაგვარებლად, როგორც რაიონული საბჭოს დეპუტატმა და კომუნისტმა, ბევრჯერ დააყენა საკითხი რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე.

მისი ღვაწლია, დღეისათვის დიდი მშენებლობა რომ მიმდინარეობს სოფელში: შენდება ხიდი, კლუბი და ბიბლიოთეკა, ფართოვდება გზები, გაუმჯობესდა სატელეფონო და კინომომსახურება. რაიკომის ბიუროს და რაისაბჭოს აღმასკომის ერთობლივი გადაწყვეტილებით შექმნილი ექიმთა ბრიგადები ყოველ ოთხშაბათს სამედიცინო მომსახურებას უწევენ რაიონის სოფლებს.

აი რა გვითხრა მარიჯანის შესახებ ონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დავით მეტრეველმა: „მარიჯან ხიდეშელს რაიონში ყველა იცნობს და აფასებს. შარშან კვლავ ავირჩიეთ რაიონული საბჭოს დეპუტატად. ასეთი დიდი ნდობა მან, რა თქმა უნდა, მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებით, აქტიურობით და პრინციპულობით მოიპოვა“.

საზრუნავს რომ მორჩება, მარიჯანი წიგნებს ჩაუჯდება ხოლმე, განსაკუთრებით პოეზია უყვარს — ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ჯანსულ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილის, მუხრან მაჭავარიანის ლექსები. პოეზია საქმეში ეხმარება, ახალისებს, ზოგჯერ კი თვითონაც წერს ლექსებს. აი, ერთ-ერთი მისი ლექსი შინმოუსვლელის დედაზე:

ის ჭრილობები მოშუშდა უკვე,
ოცდათხუთმეტი გავიდა წელი,
მაგრამ შენ ისევ ჭიშკართან დგახარ
და შენი შვილის ნაბიჯებს ელი.

ოცდათხუთმეტჯერ დათოვა მთებზე,
ოცდათხუთმეტჯერ იფეთქა ვარდმა,
ომის ქარცეცხლში, შვილის ლოდინში
ახალგაზრდობაც გაფრინდა, გაქრა.

ლილი მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვსესვიატსკოე

# ძმობის ქალაქი

გეორგიევსკი!..

ვინ მოთვლის რამდენი ფიქრი და გრძნობაა ჩაქსოვილი რუსეთის ამ პატარა ქალაქის სახელში.

ძნელია საქართველოში მოინახოს კაცი, რომელმაც არ იცოდეს სტავროპოლის მხარის ქალაქ გეორგიევსკის სახელი.

გეორგიევსკი ახალგაზრდა ქალაქია — 1977 წელს ზეიმით აღინიშნა მისი დაფუძნების მე-200 წლისთავი. ქალაქის იუბილე სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის დღესასწაული იყო.

მე-18 საუკუნის დასაწყისში გეორგიევსკი მხოლოდ ციხე-სიმაგრე იყო. თურქეთის დამპყრობლური პოლიტიკის საპასუხოდ რუსეთის სახელმწიფო ზრუნავდა იმისათვის, რომ თავისი სამხრეთის საზღვარი გაემაგრებინა. და სწორედ ამ მიზნით 1777 წლის 18 სექტემბერს მდინარე პოდკომუკზე საფუძველი ჩაეყარა ციხე-სიმაგრე გეორგიევსკს, რომლის მშენებლობას პოდპოლკოვნიკი ჰერმან ფონ ფერზენი ხელმძღვანელობდა.

სიმაგრის მშენებლობა საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და მალე იქ რეგულარული ჯარის ნაწილები მოათავსეს, ხოლო მათ გასწვრივ ვოლგის ნაპირებიდან ჩამოსული კაზაკები ჩასახლდნენ და შეუდგნენ მეურნეობის მოწყობას.

რუსეთის სამხრეთ საზღვარზე განლაგებულ ციხე-სიმაგრეთა ხუთეულში გეორგიევსკი ერთი მნიშვნელოვანი და ძლიერი ფორპოსტი იყო. იგი კონტროლს უწევდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მდინარეების — კუმის, მალკისა და ბაქსანის რაიონებში. ციხე-სიმაგრის პირველი კომენდანტი სეკუნდანტ-მაიორი კარლ-რიკი ყოფილა.

გეორგიევსკის ციხე-სიმაგრე მრუდ ხუთკუთხედს ჰგავს. მას ორი მხრიდან — ჩრდილო და სამხრეთ აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მდინარე პოდკუმიკის ციცაბო ნაპირი. მდინარეს ციხე-სიმაგრის ახლოს ძნელად გასავლელი ფონი ჰქონდა და ბუნებრივ ზღუდეს ქმნიდა. ციხე-სიმაგრის სამი დანარჩენი მხარე მიწაყრილითა და თხრილებით შემოუფარგლავთ.

გეორგიევსკში, ახლანდელ დოკუჩაევის ქუჩაზე, შენდებოდა სამხედრო ყაზარმები და ბინები ოფიცრებისათვის. იქვე ახლოს, ჯარისკაცის ქუჩის შესახვევ რაიონში განლაგებული იყო სხვადასხვა სიდიდის თავლები, ხოლო საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე — დენთის საწყობები. ციხე-სიმაგრის კედლების გასწვრივ განულაგებიათ აგრეთვე სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღი: 24 ზარბაზანი, 10 „მორტორი", 4 ქვემეხი და სხვ.

ციხე-სიმაგრის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა კავკასიის ხაზის მთავარსარდლის შტაბ-ბინა. აღსანიშნავია, რომ ამ შენობაში გაფორმდა საქართველოს რუსეთთან დამოყვრების ისტორიული ტრაქტატი.

ქართლ-კახეთის ბრძენი და შორსმჭვრეტელი მეფე ერეკლე მეორე თავისი წინაპრების მსგავსად ერთმორწმუნე რუსეთში ხედავდა ძალას, რომელიც მის საყვარელ სამშობლოს იხსნიდა ირან-თურქი დამპყრობლების მარწუხებისგან.

მეფე ერეკლეს წადილით საქართველოდან გეორგიევსკში გაემგზავრა დიპლომატიური მისია 24 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის იყვნენ ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი, გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე და სხვანი.

ქართველ სტუმრებს ქალაქ მოზდოკში შეხვდა კავკასიის ხაზის მთავარმართებლის გენერალ-პორუჩიკის პავლე პოტიომკინის მიერ გამოგზავნილი ესკადრონი 60 კაცის შემადგენლობით. სტუმარ-მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ ერთმანეთს და ერთად გაუდგნენ გზას გეორგიევსკის ციხე-სიმაგრისაკენ, სადაც იმყოფებოდა პ. ს. პოტიომკინის რეზიდენცია.

გეორგიევსკის ტრაქტატს ორივე ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთისათვის იგი ახლო აღმოსავლეთის პლაცდარმზე ფეხის მოკიდებას ნიშნავდა, საქართველოსათვის კი აგრესორი მეზობლების გარემოცვის გარღვევას და მრავალჭირნახულ სამშობლოში მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრებას.

**შალვა მარკოზაშვილი,**
ილ. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

# შიო მღვიმელის პრემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესდა შიო მღვიმელის სახელობის პრემია, რომელიც ამიერიდან ყოველ წელს საბავშვო წიგნის საკავშირო კვირეულის წინა დღეებში მიენიჭება საბავშვო მწერლებს ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

და აი, ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა ნ. დუმბაძის თავმჯდომარეობით შიო მღვიმელის სახელობის პრემია მიანიჭა მწერლებს — როდიონ კალენიკეს ძე ქორქიას, გიორგი დავითის ძე ნახუცრიშვილსა და ქეთევან შიოს ასულ ქუჩუკაშვილს.

შიო მღვიმელი

## მაშინა ვარ ბედნიერი

მაშინა ვარ ბედნიერი,
მხოლოდ მაშინ ტკბება გული,
როცა მესმის ნორჩი ყრმების
სიცელქე და ჟრიამული!
ცხოვრებისგან გადატეხილს
და ნახევრად ხელჩაქნეულს,
ველარავინ ველარა მცნობს
მე ბალღებში ბალღად ქცეულს...
სიხარულით ვუერთდები,
ვხტუნაობ და ვცმუკავ გულში,
ჩემ დღეთა სვლას ველარა ვგრძნობ
მათ მზერა და სიყვარულში...
ვისიც უნდა იყოს ბალღი,
ჩემთვის განურჩეველია,
ვიცი, მისი ნორჩი გული
სიყვარულის მფრქვეველია.
ყვავილი რომ გაიშლება,
რაკი დაჰკრავს მას მზის თვალი,
მეც იმგვარად მახალისებს
ყრმების კარგი მომავალი...
ცხოვრებისგან გადატეხილს
და ბედისგან მწარედ ძლეულს,
ვინ წამართმევს ამ სიმდიდრეს,
ვინ წამართმევს ამ განძეულს?

## შემოდგომა

ცა იღრუბლება საწვიმრად,
ისმის ზუზუნი ქარისა,
ტყე დალევრემილა, ყვითლდება
სიმწვარე მთა და ბარისა.

მზე იმალება, მარტოკა
ღრუბლებს-ღა ვხედავთ ცაზედა,
და აგერ, შემოდგომის დღეც
მოგვჩერებია კარზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობის კოცონები გრინემ-კომონის გვერდით

ლითონის მაღალი ღობე — რამდენიმე წყება ეკლიანი მავთული რომ გვირგვინად შემოვლებია. გალავნის შიგნით ბეტონის ნაცრისფერი დაბალი შენობები. დესანტების ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცების გაძლიერებული დაცვა. რკინის ჭიშკარზე წარწერა: „გრინემ-კომონის სამხედრო-საჰაერო ძალთა ბაზა“. ლონდონის ოფიციალური რწმუნებით ინგლისის მთავრობა აქ აპირებს ამერიკის ფრთიანი რაკეტების განლაგებას ბრიტანეთის დემოკრატიის დასაცავად.

ხოლო იქვე, გალავნიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით ნაირფერი კარვებია გამართული. კოცონების ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანები საჭმელს ამზადებენ. აქა-იქ კარავთან ბავშვები თამაშობენ.

და რა საოცარ კონტრასტად აღიქმება ამ ორი ბანაკის გვერდიგვერდ არსებობა! ალბათ ვერსად, მთელს დიდ ბრიტანეთში ვერსად ვერ ნახავთ მშვიდობისა და მილიტარიზმის ძალების ასეთ მკვეთრ დაპირისპირებას, როგორც აქ, გრინემ-კომონსა და ბერკშირის საგრაფოს შორის.

აგერ, 20 თვეზე მეტია, რაც ინგლისის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებით — გრინემ-კომონის ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტების განლაგებით შეშფოთებულმა ინგლისელ ქალთა ჯგუფმა დააარსა მშვიდობის ეს ბანაკი.

„მშვიდობის ბანაკის“ მცხოვრებთათვის განვლილი თითქმის ორი წელიწადი უამრავი განსაცდელით იყო სავსე. ინგლისის ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა ანტისაომარი მოძრაობის ამ აქტივისტთა მტკიცე ნებისყოფის დასაძლევად. როდესაც ქალთა დემონსტრაცია ბაზას გვერდით ჩაუვლიდა, ქალებს ატუსაღებდნენ „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის“, განთავისუფლების შემდეგ კი მათ სასტიკად ეკრძალებოდათ მშვიდობის ბანაკში დაბრუნება. მაგრამ ბანაკი მაინც განაგრძობდა ცხოვრებას, ახალ-ახალი მშვიდობისათვის მებრძოლნი ცვლიდნენ განდევნილებს.

„ჩვენი სამყარო მშვენიერია და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ის შევუნახოთ ჩვენს ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს!“, „ჩვენ არ გვჭირდება ამერიკული ბირთვული რაკეტები!“, „ჩვენ არ გვსურს ცხოვრება, მუდმივ შიშსა და ძრწოლვაში!“, — აცხადებენ ქალები.

გრინემ-კომონში ყოველდღიურად მოდის ათობით ადამიანი დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა რაიონიდან — სხვადასხვა ორგანიზაციისა და პროფკავშირის წარმომადგენელნი, მოდიან, რათა თავიანთი სოლიდარობა დაუდასტურონ მშვიდობისათვის მამაც მებრძოლებს. მოდის ასობით წერილი, ამანათები სურსათითა და სათბურებით (ამ გულადმა ქალებმა ხომ ზამთრის ცივი თვეებიც ბანაკში გაატარეს!).

„მშვიდობის ბანაკის“ ამ მებრძოლებს მხარს უჭერს ომის მოწინააღმდეგეთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია — ეგრეთწოდებული „ატომური განიარაღების მოძრაობა,“ რომელიც მანიფესტაციებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს მართავს მთელს დიდ ბრიტანეთში „გრინემ-კომონის“ ქალთა მხარდაჭერის მიზნით — ქალებისა, რომელთა სამშვიდობო მოღვაწეობამ აამოძრავა მთელი ინგლისის საზოგადოებრიობა.

ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურება იყო ყველაზე დიდი მანიფესტაცია მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, ბერკშირის საგრაფოში აპრილში რომ გაიმართა. 100 ათასამდე ინგლისელმა შეუერთა ხმა „მშვიდობის ბანაკის“ მოთხოვნას: „უარვყოთ ქვეყნის ამერიკული რაკეტების სასტარტო მოედნად გადაქცევის გეგმა!“

დემონსტრაციამ ადამიანთა ჯაჭვი შეადგინა, რომელიც 22 კილომეტრზე გაიჭიმა გრინემ-კომონიდან ოლდერმასტონის ატომის კვლევის ცენტრსა და ბერფილდის ატომური იარაღების წარმოების ქარხნამდე. ამ რაიონს ინგლისელებმა პირქუში სახელი „ატომური ველი“ შეარქვეს.

„ძირს ფრთიანი სიკვდილი“! „წინ აღვუდგეთ დიდი ბრიტანეთის ატომის სამიზნედ გადაქცევას!“ „სამუშაო და არა ბომბები“! „დავიცვათ მშვიდობა!“ — ასეთია ლოზუნგები მანიფესტანტებისა, რომლებიც მოითხოვენ ხელისუფლებამ კონკრეტული ზომები იხმაროს განიარაღების თაობაზე.

— გრინემ-კომონში ათიათასობით ინგლისელის ჩასვლა მაჩვენებელია იმ წარმატებებისა, რომელსაც აღწევენ მშვიდობისათვის მებრძოლი ძალები ომის მოსურნე ძალთა წინააღმდეგ, — განაცხადა ატომური განიარაღების მოძრაობის თავმჯდომარემ ჯოან რადოკმა, მანიფესტანტთა შეკრებაზე.

ვინც კი აპრილის იმ დღეს გრინემ-კომონს ეწვია, არ შეიძლება, აღტაცებული არ დარჩენილიყო ბანაკში მცხოვრებ ქალთა გმირობით — მთავრობის საშიში გეგმების წინააღმდეგ მათი ბრძოლით. არ შეიძლებოდა, არ გადადებოდა ის ენთუზიაზმი, რომლითაც შეპყრობილნი არიან თავიანთი მოქმედების სისწორეში დარწმუნებული ქალები.

...მანიფესტაციის უკანასკნელი ავტობუსებიც თვალს მიეფარა, ბინდი დაეშვა. მხოლოდ „მშვიდობის ბანაკში“ გიზგიზებდა კოცონები. კოცონების ირგვლივ ფუსფუსებდნენ ქალები. მათი ბრძოლა წუთითაც არ ნელდება.

გრინემ-კომონ-ლონდონი.

იბეჭდება შემოკლებით.

# დღე სავსეა პრობლე-მებით


ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერონიკა სადონოვა

ნინო ვარაზაშვილი



ვაკეში, ძველი სტუდქალაქის წინ, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლამაზი შენობა წამომართულა. აქ ყოველთვის სიწყნარეა — ჩუმად, უხმაუროდ შრომობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივი. აქ იბადება მრავალი საინტერესო აზრი, რომელსაც შემდეგში პრაქტიკულად ესხმება ხორცი და სახალხო მეურნეობას ხმარდება.

ინსტიტუტის თანამშრომლები უმეტესად ქალები არიან. ბევრ მათგანს ამ კოლექტივში მუშაობის სამი ათეული წელი შეუსრულდა. ზოგი ლაბორატორიას ხელმძღვანელობს, ზოგი — განყოფილებას, ვინ — სექტორს, ვინ — საცდელ ბაზას. და ზრდიან ახალ კადრებს, ამუშავებენ თემებს, ატარებენ ხანგრძლივ და რთულ ცდებს, რასაც დიდი ცოდნისა და გამოცდილების გარდა, მტკიცე ნებისყოფა და მოთმინების უნარი სჭირდება.

დიახ, საინტერესო და მეტად საჭირო პრობლემები მუშავდება ინსტიტუტში. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ინსტიტუტს აქვს მთელს კავშირში უდიდესი ჰიდროტექნიკური ლაბორატორია, სადაც

უახლეს ნაგებობათა კონსტრუქციებს ცდიან, ხოლო თუ როგორია ამ გამოცდათა ხარისხი და ეფექტი, ამას აღორძინებული სამგორის აყვავებული ბაღ-ვენახებიც მოგვითხრობენ.

ხანმოკლე, გულახდილი საუბარი გვქონდა ინსტიტუტის დირექტორთან. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ცოტნე მირცხულავამ ბევრი გულთბილი სიტყვა თქვა ინსტიტუტის კოლექტივზე.

— პირველს მაინც ვის დაასახელებთ?

— ჩვენთან „პირველი“ და „მეორე“ არ არსებობს. ყველა ერთ საქმეს ვემსახურებით, ამიტომ მადლობასაც და გაკიცხვასაც თანაბრად ვინაწილებთ, — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ბრძანა ბატონმა ცოტნემ.

— დოქტორი ქალი ოუ გყავთ?

— ეს გახლავთ წყალსაცავებისა და ზღვის სექტორის გამგე ნინო ვარაზაშვილი. სხვათა შორის, ამ დარგში ქალთაგან ნინო მთელს ამიერკავკასიაში მართლაც პირველი დოქტორია...

— ჰოდა, აგაშენათ ღმერთმა, მაინც გყოლიათ „პირველი“!

დირექტორმა ინსტიტუტის სწავლულ მდივანს ვერონიკა სადონოვას „ჩააბარა“ ჩემი თავი — ჩვენს ქალებზე აპირებს წერილის დაწერას და დაეხმარეო.

— ნინო ვარაზაშვილთან შეხვედრა გსურთ? მაშინ უნდა იჩქაროთ. ქალბატონი ნინო მალე ხანგრძლივ შემოქმედებითს მივლინებაში მიემგზავრება, — მირჩია ვერონიკა სადონოვამ.

ქალბატონი ნინო ჩინებული მოსაუბრე აღმოჩნდა. რატომ აირჩია ტექნიკური დარგი? ეგებ იმიტომაც, რომ მამამისი— გიორგი ვარაზაშვილი სპეციალობით გეოლოგი იყო და ექსპედიციიდან დაბრუნებული ბევრ საინტერესო ეპიზოდს უამბობდა ხოლმე ახალ აღმოჩენათა შესახებ! დედამიწა ხომ საოცრებებით სავსე უძირო ოკეანეა! რაც მეტს შეიცნობ, მით უფრო მეტი ინტერესი ჩნდება. ნინომაც, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მრავალი წელი მიუძღვნა აქტუალური პრობლემის — წყალსაცავების ნაპირების ფორმირების კანონზომიერებისა და მათი პროგნოზირების თეორიული საფუძვლის შესწავლას. 1972 წელს სწორედ ამ თემაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

რაზე მუშაობს ამჟამად მისი სექტორი? საკითხთა წრე ძალზე ფართოა, მაგრამ ამათგან მნიშვნელობით გამოირჩევა წყალსატევებისა და ზღვების ნაპირების გამაგრება, მთის წყალსატევების საერთო გავლენა ბუნებაზე, მისი დაცვა. თუ რა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემების დამუშავებას, ამას ისიც ადასტურებს, რომ ქალაქ ფოთის ნაპირგამაგრების სამუშაოები სწორედ ინსტიტუტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით განხორციელდა.

ქალბატონი ნინო აღიარებული მეცნიერია. იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორი კომისიის სექციის წევრად არის არჩეული. დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა მეცნიერებისა და ტექნიკის საკავშირო სახელმწიფო კომიტეტში, როგორც წყლის რესურსების დაცვისა და კომპლექსური გამოყენების სამეცნიერო საბჭოს სექციის წევრი. სხვათაშორის „წევრობის“ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ყოველივე ზემოთთქმულს მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ ნინო ვარაზაშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრავლიკის კათედრის პროფესორია — თავის მდიდარ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას უშურველად უნაწილებს მომავალ სპეციალისტებს, — იმათ, ვინც ხვალ მათი დაწყებული საშვილიშვილო საქმე უნდა განაგრძოს.

ნინო ვარაზაშვილს ძალზე ხშირად უხდება თბილისიდან გასვლა: ხან მოსკოვში იწვევენ, ხან — სოხუმში, ხან კიდევ სად და ხან — სად.

— თქვენს ხშირ მივლინებებს როგორ ეგუება ოჯახი?

— მეტი რა გზა აქვს, — იღიმება ნინო, — ჩემი მეუღლე ავთანდილ ბოსიკაშვილი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია. ადვილად მიგებს...

ინსტიტუტში მორწყვის განყოფილებას ვერა ბუაჩიძე ხელმძღვანელობს. ის ახალგაზრდობაში ლიტერატურით იყო გატაცებული. იმდენად კარგად წერდა, რომ სიმონ ჩიქოვანის რეკომენდაციით მწერალთა კავშირშიც მიიღეს.

— როგორ მოახერხეთ „მეშვიდე ციდან“ დედამიწაზე დაბრუნება? შევბედეთ ქალბატონ ვერას.

— მოდით, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

— კეთილი, მაშინ თქვენი განყოფილების საქმიანობა გვიამბეთ.

მოგეხსენებათ, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სარწყავი წყლის გამოყენებაზე. ამჟამად საქართველოში 400 ათასი ჰექტარი სავარგული ირწყვება. ჩვენი ამოცანაა შევიმუშაოთ და დავნერგოთ რწყვის პროგრესული ფორმები. საამისოდ გვაქვს საცდელი ბაზები გამარჯვებაში, კარალეთში, ვარკეთილში, გალავანში, ორხევში. დიდ სიკეთეს გვპირდება კონტურული რწყვა, რომელიც ნიადაგს ჩამორეცხვისაგან იცავს. ეს მეთოდი ჩვენთან დამუშავდა...

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა იმის დადგენას, შეიძლებოდა თუ არა მოსარწყავად თბილი წყლის გამოყენება. ამ პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა თბილისის თბოელექტროცენტრალის აგებამ. თბოელექტროცენტრალში შესული მტკვრის წყლის ტემპერატურა რვა გრადუსით იმატებდა და თუ ამ წყლით სავარგულების მორწყვა შეიძლებოდა, სახელმწიფო ორ მილიონამდე მანეთის ეკონომიას მიიღებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვერა ბუაჩიძე

ცდებმა, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ცომაია ხელმძღვანელობდა, დაამტკიცა, რომ ნიადაგის თბილი წყლით მორწყვა არა თუ შეიძლება, სასურველიც არის, რადგან ზრდის მოსავლიანობას, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, პროდუქციის ხარისხს.

დღეები ერთმანეთს მისდევს. ჩნდება ახალი საფიქრალ-საზრუნავი. ვერა ბუაჩიძეც ისევ და ისევ უბრუნდება თავის ცდებს. ის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია და რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერია. საკმაოდ დიდი ხანია, მზად აქვს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენების საკითხების კვლევა, დამუშავება და დანერგვა მთიანი და მთისპირა პირობებისათვის საქართველოს მაგალითზე“. დიახ, დიდი ხანია, დისერტაცია მზად არის, ოღონდ მისი დაცვისათვის ვერ მოიცალა: სამსახურს უამრავი დრო მიაქვს. ამას ემატება ლექციები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საოჯახო საზრუნავი...

საუბარმა შეგვიყოლია. სამწუხაროდ, ყველა წერილმანს ვერ მოიხსენიებ. უნებურად გამოგრჩება ზოგიერთი მათგანი, რომელმაც უნდა გაგიმჟღავნოს ადამიანის ხასიათი, მისწრაფება, ცხოვრების მიზანი.

სამაგიეროდ, გული სავსეა დიდი სითბოთი, რაც ჩინებული ადამიანების გაცნობამ მოგვანიჭა.

ე. რთველაძე



# მარიამ გარიყული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადების 100 წლისთავი

მარიამ გარიყული ღირსეული წარმომადგენელია იმ სახელოვანი ქართველი ქალებისა, რომლებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ერის კულტურულ ცხოვრებაში. დიდია მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, მისი შრომის ნაყოფიერება. გვიკვირს, როდის ან როგორ ახერხებდა იმდროინდელ ურთულეს პირობებში მყოფი მწერალი ქალი, შეექმნა ნარკვევები, იმდროინდელი ცხოვრების ამსახველი ცოცხალი მოთხრობები. ეს ხომ დიდ შრომასა და გარჯასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, მისი პიროვნების შინაგანი ძალა, მისი უდრეკი ხასიათი ვლინდებოდა ყველგან და ყველაფერში.

მარიამ გარიყული არასოდეს ყოფილა გულხელდაკრეფილი, გულგრილი და მშვიდი საქვეყნო საქმისადმი. მუდამ მღელვარე, სწორედ იქ გაჩნდებოდა ხოლმე, სადაც საჭირო იყო მისი მარჯვენა, მისი ნიჭი და გამოცდილება.

მარიამი მუდამ საქმიანი, მუდამ მოფუსფუსე მახსოვს... ქუჩაში ენერგიული ნაბიჯით სიარული იცოდა — დიდი ოჯახის დედა, უმიზნოდ დროს არ კარგავდა; სადაც უნდა ყოფილიყო, ვიწრო წრესა თუ ფართო საზოგადოებაში, მარიამ გარიყული ყველას ყურადღებას იპყრობდა დარბაისლური, ჭკვიანური საუბრით.

დიდ აკაკი წერეთელს გაცნობისთანავე უკითხავს მისთვის:

— რამ გაგრიყა, ქალო?! ასეთი ახალგაზრდა და გარიყული?!... „გარიყული", „განდეგილი" — ჩამოუთვლია პოეტს თითებზე, თითქოს გულის წყრომა გამოთქვა ასეთი ფსევდონიმების გამო.

ჩვენც ბევრჯერ ჩავუფიქრებივართ მის ფსევდონიმს, რომელიც რევოლუციამდელი უუფლებო ქალის მწარე ბედს გამოხატავდა; მაგრამ მის წიგნებზე აღზრდილი ჩვენი თაობა, მარიამს არასოდეს გარიყულად არ თვლიდა.

მარიამმა დიდი გზა გაიარა: მონაწილე იყო 1905 წლის რევოლუციის ბობოქარი დღეებისა და იმ დიდი მღელვარებისა, ქართველმა ხალხმა რომ გადაიტანა მომავალი რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მუდმივი მალვა, შიში ჟანდარმერიის თავდასხმებისა, ბინიდან ბინაში გადასვლა, მზად ყოფნა გასაქცევად, — აი, ახალგაზრდა ქალის წარსული. ადვილი არ იყო მაშინ ქალისათვის საიდუმლო კრებებზე გამოსვლა, ცარიზმის წინააღმდეგ მასების დარაზმვა მგზნებარე სიტყვით.

არავის გაჰკვირვებია, როცა მარიამ თათეიშვილმა ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლა გადაწყვიტა და თავისი საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზად სცენა აირჩია. თეატრი ხომ საუკეთესო ტრიბუნა იყო რევოლუციური იდეების ხალხში, მასებში გატანისათვის. ეს გზა პირველად მისმა უახლოესმა ადამიანმა, იმ დროის თვალსაჩინო მოღვაწემ, მარიამ დემურიამ დაულოცა.

ავჭალის სახალხო თეატრში მუშაობდა მარიამ გარიყული. გამოჩენილ ოსტატთა გვერდით მონაწილეობდა დადგმებში. მას ჰქონდა ბედნიერება ემუშავა ქუთაისის დრამატულ დასშიც, რომელსაც იმ დროს სათავეში დიდი ქართველი მსახიობი ლადო მესხიშვილი ედგა.

ხალხთან სიახლოვემ მისცა მარიამს ცხოვრების დიდი ცოდნა და გამოცდილება, რაც შემდეგ ასე კარგად გამოვლინდა მის საინტერესო მოთხრობებსა და მინიატურებში. მისი პირველი მოთხრობა „ცხოვრების მსხვერპლი" მწერალი ქალის გაბედული სიტყვა იყო ცარიზმის წინააღმდეგ. მასში მწერალი თავგამოდებით ესარჩლებოდა ჩაგრულ ხალხს. „ცხოვრების მსხვერპლს" მალე მოჰყვა სხვა მოთხრობები: „ჩვეულებრივი ამბავი", „სოფლის მსუნაგები", „საიდუმლოება", „ახალი მასწავლებელი".

ვინ მოთვლის, რამდენ მტკივნეულ საკითხს ეხმაურებოდა მარიამი! მისი ერთერთი მოთხრობა „ჯაშუში" თავისი მამხილებელი შინაარსის გამო აკრძალულიც კი იყო მეფის ცენზურის მიერ.

მარიამ გარიყული დემოკრატიული იდეებით შემოვიდა მწერლობაში. მისთვის, როგორც ქალისათვის, განსაკუთრებით გასაგები იყო ქალის ბედი. ის თავგამოდებით იბრძოდა ქალის თავისუფლებისათვის, ინტელექტუალური ამაღლებისათვის. ამ მხრივაც საინტერესოა მისი ნაწარმოებების გმირ ქალთა სახეები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნიდან მარჯვნივ — სხედან: მარიჯანი, მარიამ გარიყული, ნინო ნაკაშიძე, ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი), დგანან: იოსებ გრიშაშვილი, თამარ ანდღულაძე, მარიკა ბარათაშვილი, ნინო ჩიხლაძე, მაყვალა მრევლიშვილი, მარგო თომაძე.

პირველი რევოლუციის დამარცხებამ ვერ შეურყია მარიამ გარიყულს მომავლის გამარჯვების ღრმა რწმენა. იგი გაასკეცებული ენერგიით ეწაფება ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება „ცნობის ფურცელში“, „სახალხო გაზეთში“, „თემში“. ამ ნაწარმოებთა გმირები უბრალო, მართალი ადამიანები არიან. და ეს ადამიანები გულწრფელად უყვარს მწერალს.

— თუ მწერალს თავისი ნაწარმოების წერისას ან წაკითხვისას არ უტირია, ვერც სხვას აატირებს თავისი წიგნითო, — იტყოდა ხოლმე მარიამი. მართალი იყო იგი. ვინ იცის, რამდენჯერ მორევია ცრემლი თავისი გმირების უბედური ბედისა და ცხოვრების უკულმართობის გამო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ჩვენი ხალხის უმაგალითო წარმატებებით შთაგონებული მარიამი ბევრ კარგ მოთხრობასა და ნარკვევს ქმნიდა ახალ ადამიანებზე, ახალ ცხოვრებაზე. საინტერესოდ იკითხება მისი მემუარები „განვლილი გზა“, რომელიც მის სიცოცხლეშივე დაისტამბა ცალკე წიგნად.

მარიამ გარიყული დაუღალავი და გულგაუტეხელი ადამიანი იყო. ძალზე უყვარდა ახალგაზრდობა და თავისი გონივრული რჩევა-დარიგებით ბევრი ახალგაზრდა მწერალი წაუხალისებია, ისინი შემდეგ მარიამ გარიყულის უახლოესი მეგობრები გახდნენ. ესენი იყვნენ: პოეტი ქალი მარიჯანი, უდროოდ ჩვენგან წასული მწერალი და მთარგმნელი ქეთევან ირემაძე. მარიამის საუკეთესო ახლობლები და მეზობლები იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ამიტომ, აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ მათზე დაწერილ მოგონებებს.

ამაგდარ მწერალ ქალს სიცოცხლეშივე ეღირსა თაობის მადლიანი სიტყვა და დაფასება, საბჭოთა ხალხის სითბო და სიყვარული.

**ნინო ჩიხლაძე**

## ბებია

შენი თალხი კაბა,
    შენი ფალასა...
სკივრში ჩაწყობილი —
სარტყელ-გულისპირი,
    ლეჩაქი,
        ჩიხტა,
            ჩიხტა-კოპი,
                        შუბლიქინძისთავი —
აღარ გენატრება, განა,
კეწკეწა ქალასა?
შენი დალალ-კავი რაღამ დანავსა,
ძალან აშოლტილო ტანავ,
უწინ გიშრისფერო ტევრი, —
ეხლა ნაგერალა ყანა;
სახეზე ნაოჭიც არ არის ცალად...
— უი, ქა, რამ დაგაბერა...

* * *

როგორ ყელყელაობდნენ
    დათრიმლული გორები,
ფუტკრებს ფუღუროები
    დაეგმანათ გოლებით და
კენტად იდგა წყაროსთან
    წაბლი, წელში წახრილი,
ფერდობს შეფენილიყო
    ფერდებშრელი ნახირი.
კიდევ შემოვირბინე
    ყველა კუთხე-კუნჭული,

წამწამებზე მეკიდა ჩემი წილი მზე,
  შენსკენ მოვიჩქაროდი,
    ეგრე თვალდახუჭული,
      სულით,
        ხორცით,
          გზნებით
და უკლებლივ მომქონდა
  ჩემში ჩაგუბებული,
    შენთვის გადანახული,
      ბლუჯა ლურჯი თმების.

**დალი ფიროსმანაშვილი**



# შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატი

ქეთევან ქუჩუკაშვილმა ამ რამდენიმე ათეული წლის წინ აირჩია სახელოვანი მამის, შიო მღვიმელის ღირსეული გზა და იმ დღიდან მოყოლებული, ნიჭიერად, გულმხურვალედ ემსახურება ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების სამამულო საქმეს.

ჩვენმა ბავშვებმა, და არა მარტო ბავშვებმა, გულით შეიყვარეს ქეთევანის მშვენიერი ლექსები, მოთხრობები — ერთ კონად შეკრული „ყვავილები მდინარეზე“, დიდტანიანი მოთხრობა „თბილი პური“ და სხვა, განსაკუთრებით კი პიესები: „ზამთრის ზღაპარი“, „კონკია“, „გოგო ხოხესია“, „ლილეი“, რომლებიც წარმატებით დაიდგა მოზარდ მაყურებელთა, კ. მარჯანიშვილის სახელობისა და რესპუბლიკის სხვა თეატრებში:

და, აი, ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ერთერთი პირველი პრემია მიენიჭა ქეთევან ქუჩუკაშვილს.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია გულით ულოცავს მწერალ ქეთევან ქუჩუკაშვილს მისი სამწერლო მოღვაწეობის ესოდენ ღირსეულ აღიარებას და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და კიდევ მრავალ შემოქმედებით წარმატებას.




ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მთავარი მოედანი







ეროვნული
ბიბლიოთეკა







# მოსიყვარულე გული

ოცდაათ წელზე მეტია, რაც დოდო ვადაჭკორია ქართულ საბავშვო ლიტერატურაში მოღვაწეობს, რაც სითბოთი და სიყვარულით მოცულ სტრიქონებს აწვდის თავის პატარა მკითხველს.

ამ ხნის განმავლობაში მწერალმა მრავალი მოთხრობებისა და ზღაპრების კრებული გამოსცა: „გოლიათი კაკალი“, „ტატო, ქუდი და ქარი“, „ჩემი სოფელი“, „უცნაური დედობილი“, „კენკრა ტკბილია“, „ბროლის ციგა“, „ერთი კალთა სიყვარული“ და მრავალი სხვ. ეს კრებულები მკითხველს თვალწინ წარმოუდგენს სიწმინდისა და სიფაქიზის სამყაროს, რომელსაც ბავშვობას ვეძახით.

დოდო ვადაჭკორიას ერთ-ერთ მოთხრობას „ერთი კალთა სიყვარული“ ჰქვია. ამ მოთხრობაში პატარა გოგონა, საზაფხულოდ სოფელში ჩამოსულ მეგობარს გაცილებისას მტევნებიდან გამოძრობილი, აქა-იქ შეთვალულ მარცვლებით თავმობმულ კალათას მიართმევს, რადგან ყურძენი ჯერ კარგად არ არის დამწიფებული და გოგონას კი გულითა და სულით უნდა, სტუმარი ასიამოვნოს.

დოდო ვადაჭკორია ბავშვების ასეთ გულითად ურთიერთობაზე ხშირად ჰქმნის საუკეთესო ნაწარმოებებს, რითაც სიყვარულსა და სხვა წმინდა გრძნობებს აღვივებს პატარა მკითხველის გულში.

მისი მოთხრობების პერსონაჟები ცელქი, კეთილი ბავშვები არიან; დარბიან, თამაშობენ ეზოში, მინდორში თუ სახლში, მაგრამ ეს მარტო სირბილი და თამაში როდია, ეს მათი ცხოვრებაა, ოცნებითა და შრომით სავსე დიდი ცხოვრება, იმდენად დიდი, რომ ადამიანს ჰყოფნის სულის საზრდოდ თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ასე გამოჰყვა ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები და ამბები ჩვენს დოდოსაც, რაც ძალიან კარგად ჩანს მის შემოქმედებაში.

უნდა ითქვას, რომ მარტო მეხსიერება არ არის საკმარისი, რათა ბავშვობიდან დღემდე მოიყოლიო ადრინდელი სითბო და სილამაზე, ამისათვის სიყვარულია საჭირო იმ ხალხისა, ვისთანაც გაზრდილხარ, ვისთან ერთადაც შეგებებიხარ დილის რიჟრაჟს და ხეებზე კვირტების გაფურჩქვნას.

ყველასათვის ცხადია, რომ თუ კი რამ კარგი შექმნილა ამქვეყნად, ყველაფერი სიყვარულის შედეგი ყოფილა. დოდო ვადაჭკორიას შემოქმედების საფუძველიც მისი დიდი, მოსიყვარულე გულია.

მივულოცოთ ბავშვების საყვარელ მწერალს დაბადების სამოცი წელი, ვუსურვოთ ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წინსვლით სავსე ხანგრძლივი სიცოცხლე.

**ნინო ბეჟარაშვილი**

## გ უ ნ დ ა

თოვს.

ჩუმად თოვს. მინაზე ეფინება. ბარდნის:

...არც ისე დიდი ხნის წინათ სწორედ ასე თოვდა.

მაშინაც ასე გაიშოტა თრიალეთი თოვლის ქვეშ.

მთაწმინდა მიყუჩდა და შავნაბადამაც წამოისხა თეთრი.

თოვდა და მათოვდა-წამწამებზე, ლოყებზე... მათოვდა და სწრაფად მადნებოდა.

მათოვდა გრძელ ნაწნავებზე.

ჩემზე ამბობდნენ — კარგი გოგოაო. რა ლამაზი ნაწნავები აქვსო, — ჩურჩულებდნენ ბიჭები, მაგრამ ისეთი ლაღი და თამამი სიარული ვიცოდი, აბა რას გამიბედავდნენ.

თოვდა...

ჩუმად ეფინებოდა ახლადგაშლილი ფოთლის ოდენა ფიფქები.

ჟივილ-ხივილი ისმოდა ქუჩებში.

გუნდაობდნენ.

ბესიკის ქუჩიდან ჩანთებზე დამსხდარნი ჩამოსრიალდნენ ჩვენი გოგო-ბიჭები სკოლასთან. ქვემოთ, რუსთაველზე დამიხვდნენ და შემეგებნენ. ბიჭებმა გუნდები მომიქნიეს, მაგრამ ის იქ იყო და ვერ გამიბედეს... ერთი შეუტია და ხელები ძირს დაუშვეს.

ვიწყინე და წაველი.

უკან გამომყვა. სკოლის კარამდე მიმაცილა უხმოდ. არც კი მომიხედია, ვიცოდი, ვეამაყებოდი მწვანე სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილ ბიჭს (ვაჟკაცობდა, უპალტოოდ დადიოდა). მე კი იმ წუთს ვწუხდი, ვწუხდი, რომ გუნდები მისი წყალობით ამცდა. მინდოდა, მხოლოდ ჩემთვის ვერ გაებედნათ გუნდის მოქნევა. უმისოდ ვერ გაებედნათ.

ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა ასეთი... ვერაფერი ვერ მოვიფიქრე და ვინატრე: — ნეტა მალე დავბერდე, მაშინ გუნდის სროლას, აბა ვინ გამიბედავს მეთქი.

ჰოდა, ახლაც თოვს, მათოვს, მაგრამ რატომღაც არ მადნებიან ფიფქები.

თბილისი ისევ ზღაპრულია.

ბევრი რამ გამოიცვალა, მაგრამ თოვლი და გული ისევ ძველებური დარჩა... ცოტაც დამაკლდა, კინაღამ სკოლისაკენ გადავუხვიე...

იქ ისევ ხმაურობდნენ. გუნდაობდნენ, (ნაწნავებიან გოგოს და სპორტულ მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილ ბიჭსაც მოეკარი თითქოს თვალი).

გავიარე ქუჩა. გუნდაობდნენ.

ისევ თოვს და, რა თოვლი დასდო!

ვინატრე-ნეტავ მესროლონ გუნდა მეთქი.

მესროლეთ, ხალხნო, გუნდა!

მაგრამ...

გუნდა ჩემთვის არავის მოუქნევია!

1959 წ.

აკაკი კაცაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დემოგრაფიული ძლიერებისათვის

(წერილი მეორე)

ქართული ოჯახის მცირეშვილიანობამ მწვავედ დააყენა შობადობის ზრდის სოციალური შესაძლებლობების გამოძებნისა და გამოყენების აუცილებლობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს სოციალურად მამაკაცთან გათანაბრებული ქალის უფლებისა და მოვალეობის შეხამების საკითხი. თუ, ერთის მხრივ, საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმამ ხელი შეუწყო ქალის სოციალურ-პროფესიულ და კულტურულ განვითარებას, მეორე მხრივ, გაიზარდა მისი დატვირთვა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულია ცხრაასი ათასზე მეტი ქალი, საერთოდ მომუშავეთა 46 პროცენტი. სოციოლოგიური კვლევის შედეგები ადასტურებს ქალის თავისუფალი დროის დეფიციტს, მას მამაკაცთან შედარებით დაახლოებით ორჯერ ნაკლები თავისუფალი დრო რჩება. სამუშაოდან დაბრუნებულ ქალს აწევს საოჯახო საქმის ძირითადი ტვირთი, ფსიქოლოგიური დაძაბულობა და ფიზიკური გადაღლილობა მას აიძულებს უარი თქვას იყოლიოს უფრო მეტი შვილი, ვიდრე ჰყავს. ქალების უმრავლესობას შეუმუშავდა მცირეშვილიანობისადმი განწყობა და აღარა აქვს მოთხოვნილება იყოლიოს ორზე მეტი შვილი.

ასეთ ვითარებაში ქალს დახმარება სჭირდება. პირველ რიგში უნდა უზრუნველვყოთ საოჯახო საქმის მექანიზაცია, საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება და ოჯახის წევრებს შორის საოჯახო შრომის თანაბარი, გონივრული განაწილება.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს გაფართოების მიუხედავად, მაინცდამაინც ხელშესახებად არ იგრძნობა საოჯახო საქმის შემსუბუქება. მომსახურების სტრუქტურა და ფორმები დასახვეწი და გასავითარებელია. საყოფაცხოვრებო მომსახურების ინდუსტრიალიზაცია მომსახურების გაიაფების, ხარისხის ამაღლებისა და შესრულების სისწრაფის გარანტიას უნდა იძლეოდეს. მაშინ იგრძნობს ქალიც და ოჯახიც შვებას. ბევრად უფრო რთულია მეორე საკითხის მოგვარება — ოჯახის წევრებს შორის შრომის სწორი განაწილება. მამაკაცის ფსიქოლოგიური გარდაქმნა ისე, რომ ჩვევად ექცეს საოჯახო საქმის მნიშვნელოვანი ტვირთის ზიდვა, როგორც ჩანს, ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

მსჯელობის საგნად იქცა ე. წ. „ბებიის პრობლემა“. ჯანმრთელი და ენერგიული ბებიის იმედით, ხშირად, ახალგაზრდები უფრო მეტ შვილს აჩენენ. ავადმყოფი და მოსავლელი ბებია, პირიქით, დამატებით, მაგრამ მორალურად აუცილებელ საზრუნავს უჩენს ოჯახს. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდების გადაწყვეტილებაზე იყოლიონ შემდგომი შვილი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბებიასაც აქვს თავისი ინტერესები და მოთხოვნილებები, რომ მისი „ნებაყოფლობითი საოჯახო ექსპლოატაცია“ სოციალურად და მორალურად გაუმართლებელია.

შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელობა მზრუნველობასა და ყურადღებას არ უნდა აკლებდეს ქალებს. სკკპ XXV და XXVI ყრილობების მიერ მიღებული მეტისმეტად აუცილებელი და საჭირო დადგენილებები შვილებიანი ქალებისათვის შეღავათებისა და დახმარების მიცემის თაობაზე სიცოცხლისუნარიანი და შედეგის მომცემი უნდა გავხადოთ. საქართველოს კპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებით მიმდინარე ხუთწლედში დაახლოებით ათი ათასამდე ქალი უნდა გადავიდეს არასრული სამუშაო დღისა და კვირის რეჟიმზე, ხოლო შინმომუშავეთა რაოდენობამ რვა ათასს უნდა მიაღწიოს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მძიმე ხელით შრომა საქართველოს სოფლის მეურნეობაში 28,7%-ს აღწევს, ხოლო მეჩაიეობაში — 45-46%-ს, მეცხოველეობაში — 42%-ს; აქ უპირატესად ქალთა შრომაა გამოყენებული, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, არა აქვთ ელემენტარული ჰიგიენური პირობები.

გასათვალისწინებელია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებული ქალის ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებები და დედობის მოთხოვნილებები.

კეთილმოწყობილი ბაგა-ბაღებით უზრუნველყოფა დიდი შეღავათია მომუშავე შვილებიანი ქალებისათვის. ამ მხრივ არ არის სახარბიელო მდგომარეობა. სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის საბავშვო დაწესებულებები რესპუბლიკაში ორჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში, ბავშვთა მხოლოდ 31,3%-ია ბაგა-ბაღებით უზრუნველყოფილი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სასოფლო რაიონებში.

კარგი იქნება, თუ შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელები, ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულებასთან ერთად, გამოიჩენენ პირად ინიციატივას და შვილებიან ქალებს, თავის მხრივ, სითბოსა და მზრუნველობას არ მოაკლებენ; გამოიყენებენ, როგორც იტყვიან, შინაგან რეზერვებს.

პარტიის მახარაძის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მნიშვნელოვან პატრიოტულ წამოწყებას დაუდო სათავე. რაიონში დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღების, კერძოდ, შობადობის გაზრდის მიზნით, რაიაღმასკომის საგანგებო სესიამ განიხილა და მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ყოველმხრივ ღონისძიებებს შვილიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად. კარგი იქნება თუ მახარაძელთა წამოწყება განზოგადდება.

ქართველებში ბევრია 30 წელს გადაცილებული გაუთხოვარი და დასაქორწინებელი. ოჯახის შექმნის გადავადება ბუნებრივ მატებაში საგრძნობ დანაკარგს იწვევს. ოცნებებისა და იდეალების სამყაროდან დახმარების ან სხვა გარემოებიდან ე. წ. „გაცნობის სამსახურის“ ხელოვნური გადმონერგვის იმედი არ უნდა გვქონდეს. მეცნიერები და პრაქტიკოსები, ალბათ, დროული ქორწინების უზრუნველყოფას ცხოვრებისეული პრობლემების სწორად გადაწყვეტას დაუკავშირებენ.

შობადობის მატების სოციალური რეზერვია, აგრეთვე, განქორწინებათა მზარდი პროცესის შეკავება. დაშლილ ოჯახს, ცხადია, შვილი აღარ შეემატება. უკანასკნელ ხანებში განქორწინებათა დინამიკა ასეთია:

| წელი | განქორწინებათა რაოდენობა |
|---|---|
| 1977 | 12827 |
| 1978 | 11 794 |
| 1979 | 11 895 |
| 1980 | 12 834 |
| 1981 | 18 550 |

კონფლიქტური და არასრულფასოვანი ოჯახი საზიანოა საზოგადოებისთვისაც. არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის ყოველი მეხუთე ასეთი ოჯახიდან არის გამოსული. განქორწინებულთა უმრავლესობა ახალგაზრდაა. საჭიროა ოჯახისადმი ახალგაზრდობის სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა, მეუღლეთა შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის მიღწევა.

საბჭოთა საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატების უზრუნველყოფაში მედიცინამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ ვალი ბოლომდე არ მოუხდია. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს თავაულებელი შრომა მართებთ ბავშვთა სიკვდილიანობის შემდგომი შემცირებისათვის (მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობა ყველაზე მაღალია), არამიზანშეწონილი აბორტების ლიკვიდაციისათვის, აბორტებით გამოწვეული მეორადი უშვილობისა და საერთოდ, უშვილობის შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანისათვის. რესპუბლიკაში ცოტა შენდება ბავშვთა პოლიკლინიკის ტიპიური შენობები, მცირეა ბავშვთა სპეციალიზებული სანატორიული დაწესებულებები; შეფერხებებია ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებების მედიკამენტებითა და სისხლით მომარაგებაში.

პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დონე სასურველად არ გამოიყურება. ზოგიერთმა მშობელმა არ იცის ბავშვის მოვლა, არ უტარებს პროფილაქტიკურ აცრებს; ფეხმძიმე ქალი არ იცავს ცხოვრების რეჟიმს. კარგი ნაბიჯი გადადგა საქართველოს განათლების სამინისტრომ და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა — შემოიღეს, ექსპერიმენტის წესით, საოჯახო ეთიკის და ფსიქოლოგიის, აგრეთვე, სქესობრივი და ჰიგიენური აღზრდის საკითხების სწავლება.

როგორც ვნახეთ, შობადობის ზრდის სოციალური შესაძლებლობების გამოყენების თაობაზე მსჯელობამ პრაქტიკულად გადასაწყვეტი საკითხები დააყენა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების სრულყოფის პროცესი საფუძვლად დაედება რესპუბლიკის ძლიერებას, ამაღლდება ქართველი ქალის დედობრივი ღირსება, საქართველოს მთასა და ბარში უფრო და უფრო მეტი აკვანი გადაირწევა.

ფიქრები აღზრდაზე

# დედისერთები

მკაცრი სტატისტიკა გვეუბნება: საბჭოთა კავშირში ყოველი მეხუთე ოჯახი უშვილოა, ოჯახთა 35 პროცენტზე მეტს ერთი შვილი ჰყავს, 27 პროცენტს — ორი, 17 პროცენტს — სამი და უფრო მეტი შვილი (1970 წლის აღწერით). მას შემდეგ დედისერთები კიდევ უფრო მომრავლდნენ. კარგია ეს თუ ცუდი?

მეექვსე კლასის მოსწავლეებს ასეთი დავალება მივეცით: — გია და ნოდარი კვირა დღეს კინოს სანახავად წავიდნენ. კინოთეატრთან მიშიკო შემოხვდათ. მიშიკოს ფული არ ჰქონდა, ფილმის ნახვა კი, არ დაუმალავს, ძალიან უნდოდა. გიას და ნოდარს მხოლოდ თავიანთი სამყოფი ფული ჰქონდათ.

თქვენის აზრით როგორ მოიქცევიან გია და ნოდარი?

ეს ტესტი კვლევის მეთოდია. იგი წარმოადგენს ინგლისელი მკვლევარის ი. ფ. მორისის მიერ შემუშავებული პროექციის ტესტების მოდიფიკაციას.

მოსწავლეს მოეთხოვება სხვისი ქცევის (ან მოსალოდნელი ქცევის) შეფასება, მაგრამ ამ სხვისი ქცევის მიმართულების განსაზღვრისას საკუთარი ინტერესებიდან და შეხედულებებიდან გამოდის. რა თქმა უნდა, მას გაცნობიერებული არა აქვს, რომ იგი თავისი შეხედულებების და ინტერესების თავზე მოხვევას ახდენს სხვაზე.

— გია და ნოდარი აღარ უნდა შესულიყვნენ ამის შემდეგ კინოში.

— მე გიასა და ნოდარის ადგილზე კინოში აღარ შევიდოდი და მიშიკოსთან ერთად გამოფენაზე წავიდოდი.

— სამივენი სახლში დაბრუნდებოდნენ, დაამატებდნენ ფულს და მეორე სეანსზე წავიდოდნენ და ა. შ. და ა. შ.

ეს ზოგიერთი ბავშვის აზრია, მათი უმეტესობა დედისერთა აღმოჩნდა. გარკვეულმა ნაწილმა კი გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესია ერთს არ შეუსრულდეს სურვილი, ვიდრე ორს ჩაეშალოს საქმე.

იმავე ჯგუფებში ახლა მშობლებს მივმართეთ კითხვებით: როგორი გსურთ გამოვიდეს თქვენი შვილი?

ა) შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე, კეთილი, დიდი სპეციალისტი, ცნობილი ადამიანი, ნაკლებად ნიჭიერი, მაგრამ ბეჯითი და ა. შ.

ჩვენ არ შევუდგებით მშობელთა შეხედულებების პროცენტულ დამუშავებას. მისანიშნებელი, დასაფიქრებელი აქაც გამოჩნდა. დედისერთას მშობელთა უმეტესობამ თავისი, უკვე გაზრდილი შვილის დამახასიათებელი ნიშნებიდან პირველ ადგილზე წამოსწია და უპირატესობა მიანიჭა „დიდ სპეციალისტს“, „ცნობილ ადამიანს“, „ნიჭიერს“ მომდევნო ადგილები კი სხვა თვისებებმა დაიკავა.

თანაგრძნობისა და თანაზიარობის მოთხოვნილების განუვითარებლობა, სხვისი სურვილისათვის ანგარიშის გაუწევლობა — აი რა აღმოჩნდა დედისერთების ხასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელი.

შვილის პრესტიჟის, სახელის, დიდების ძიების დაუოკებელი სურვილი — აი რა მიაჩნიათ დედისერთების მშობლებს პირველ რიგში საფიქრალად და საოცნებოდ. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ზოგიერთი დედისერთა თანამგრძნობი და გულზიარი იყოს, ან ზოგიერთი დედისერთას მშობელმა წინა პლანზე არ წამოსწიოს სურვილი მისი შვილი იყოს შრომისმოყვარე, ან პირიქით, შესაძლებელია და-ძმებშიც შეხვდეთ ეგოისტსა და მხოლოდ თავის თავზე მზრუნველს, მაგრამ ჩვენ ხომ გამონაკლისებს არ დავეყრდნობით, ჩვენ ხომ უმრავლესობა-უმცირესობის საზღვრებს ვეძებთ.

კორნეი ჩუკოვსკიმ შესანიშნავად დახატა სკოლამდელ დედისერთათა რაღაც ქვეცნობიერი სურვილი დის ან ძმის ყოლისა.

დედისერთა დიდი გულმოდგინებით აგროვებს ქუჩაში და ეზოში ნაპოვნ კაპიკებს, დედას აბარებს და თან ეუბნება: სხვა რამეზე არ დახარჯო, ამით ბავშვი ვიყიდოთო.

ირა გმიზინამ დედას სთხოვა ეყიდნა მისთვის და. ძალიან ძვირია, ახლა თოჯინას გიყიდი, — უპასუხა დედამ.

რამდენიმე დღის შემდეგ რადიოთი ფასების შემცირება გამოაცხადეს.

— ახლა ხომ შეგიძლია, — დაიყვირა ირამ, — მიყიდო ტანია!

ხუთი წლის გოგონას შეეკითხნენ:

— შენ რომ ჯადოქარი იყო, რა სასწაულს მოახდენდი?

— დას ვიყიდდი!

სკოლამდელმა თითქოს უკვე იცის, რომ ყველაზე დიდი სასწაული ადამიანია, ხოლო ყველაზე დიდი ბედნიერება ადამიანებთან ურთიერთობა. ამიტომ ეძებს იგი ასეთი დიდი მონდომებით თანატოლებს. მაგრამ ვერ კმაყოფილდება. მას „თავისი“ უნდა,

ის, ვინც ჭირსა და ლხინში ყოველთვის მის გვერდით იქნება.

დედისერთას ოჯახი აძლევს ყველაფერს გარდა ერთისა, რომელიც ყველაზე ძვირფასია — შიდასაოჯახო ურთიერთობით გამოწვეულ სიხარულსა და გამოცდილებას. დედისერთას შიდასაოჯახო ურთიერთობა მხოლოდ უმცროს-უფროსის დამოკიდებულებით შემოისაზღვრება. ამ ურთიერთობაში „მე მინდას“ მოთხოვნილება დომინირებს და თავის ყოველმხრივ დაკმაყოფილებასაც აღწევს. მშობლები, ახლო მყოფები ამ მოთხოვნილების უსიტყვო შემსრულებლები არიან. „მე მინდას“ მოთხოვნილება „სხვას უნდა“ მოთხოვნილებას არსად არ ხვდება და ამდენად „მე მინდას“ მოთხოვნილებას მწვანე გზა აქვს. მეტი რაღაა საჭირო ოჯახური ბედნიერებისთვის?! — შვილს, რაც უნდა ყველაფერი უსრულდება. ნუ ავჩქარდებით, მოჩვენებითია ასეთი ოჯახური იდილია. ბავშვთან ყოველდღიური „ბრძოლა“ იოლი არ არის. ცნობილია, ყველა როდი ზრდის შვილს უშეცდომოდ, — გვაქვს გადახრები, სუსტი მხარეები. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი მართლა მთლად „სუფთა დაფა“ როდია, გენეტიკურად მას თავისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მიდრეკილებანი, ხასიათის თავისებურებანი დაჰყვება. ამიტომ ჩვენი და შვილის ურთიერთობა ორმხრივი მიმართულების მატარებელია — ჩვენ ზემოქმედებას ვახდენთ შვილებზე, მაგრამ შვილებიც ზემოქმედებენ ჩვენზე.

ამ ზემოქმედებას ხშირად თან ახლავს წყენა, გულისტკენა, დაძაბულობა. ასეთი წყენა, გულისტკენა, დაძაბულობა საკუთარ თავში ჩახედვას, საკუთარი და სხვისი ინტერესების თანაფარდობის გაცნობიერებას, „მე მინდას“ და „სხვას უნდას“ გაწონასწორებას ითხოვს. ამ დროს პიროვნება წვალობს, ეძებს გამოსავალს. ასეთი წვალება სულის შრომაა. დედისეულ ოჯახში ნაშრომ სულს კი მომავალში აღარ გაუჭირდება. იმაზე, თუ როგორი საფუძველი ჩაეყარა ბავშვის ურთიერთობას დედასთან, მამასთან, დასთან, ძმასთან, ბევრად იქნება დამოკიდებული მისი ურთიერთობა, მასწავლებელთან, თანატოლთან, შეყვარებულთან, თანამშრომელთან, მეუღლესთან, შემდეგ თავის შვილებთან, სიძესთან, რძალთან და ა. შ.

ოჯახში ჰარმონიის მიღწევა ურთიერთდამთხვევას კი არ ნიშნავს, არამედ ურთიერთშევსებას. ასეთი ურთიერთშევსება ოჯახში წამოჭრილი ყოველი კონფლიქტის გონივრული გადაწყვეტით, „მე მინდას“ მოთოკვით შეიძლება. ოჯახის ბედნიერება, მისი განვითარებაც მხოლოდ ამას გულისხმობს.

დედისერთას სურვილის ხელშეუხებლობას იქამდე მივყავართ, რომ ასეთ ბავშვებს ხშირად სჯერათ თავიანთი „განსაკუთრებულობა“. როცა დედისერთა კოლექტივში მოხვდება, რასაც ხშირად თან სდევს კოლექტივის მიერ ასეთი „განსაკუთრებულობის“ უგულვებელყოფა, კოლექტივსა და დედისერთას შორის თავს იჩენს კონფლიქტი, დედისერთა კი ნერვიულობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, სტატუსი უნდა შეინარჩუნოს. გამოსავალსაც ნახულობს. იქადნის, იკვეხნის, ძვირფასი ნივთები, სათამაშოები ჩამოაქვს ეზოში, ოღონდ აღიარონ, ოღონდ პირველობა დაუთმონ, ისევ წარუმატებლობა, ნერვიულობა და ასე გრძელდება მანამ, სანამ თვით ცხოვრება, ყველაზე დიდი მასწავლებელი არ დაიწყებს იმ ჩენჩოს მოცილებას, რომელშიაც ასე მჭიდროდ ჩასვა დედისერთობამ.

„მშობლიური სიყვარულის კონცენტრაცია ერთადერთ შვილზე საშინელი შეცდომაა“ — ამბობდა ა. ს. მაკარენკო. ასეთ შემთხვევაში ეს გრძნობა ვერ ითავსებს შვილის „მტრულად“ გაზრდის სიბრძნეს და იგი ბრმა სიყვარულის ხასიათს იძენს. ერთადერთი შვილის მშობლები მეტისმეტად მტკივნეულად განიცდიან შვილის ავადმყოფობას, უსაქციელობას, შფოთავენ, ნერვიულობენ, რის გამოც უჭირთ სწორი გადაწყვეტილების მიღება.

მშობლებს ასეთი კითხვით მივმართეთ: — რომ შენიშნოთ, თქვენი 12 წლის ბიჭი სიგარეტს ეწევა, როგორ მოიქცევით? — თქვენი 13 წლის გოგონა კი ორიანებს იღებს, უხეშობს, გაღიზიანებულია, თქვენ კი იცით რომ ამის მიზეზი პირველი სიყვარულია.

დედისერთას მშობლებმა შვილის ოთხ კედელში ჩაკეტვა ამჯობინეს, სადაც სიყვარულმაც ვერ უნდა შეაღწიოს — ოღონდ ისწავლოს, კარგად იყოს, თორემ მშობლები ხომ ინერვიულებენ! — არადა დედის შიში და დაძაბვა მართლაც გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე, რასაც შესაძლოა ნევროზიც კი მოჰყვეს.

დღიდან გაჩენისა, მშობლებსა და შვილს შორის ორმხრივი კონტაქტი მყარდება. მშობლების, როგორც დიდების უპირატესობა ამ ურთიერთობის თუნდაც ნაწილობრივ გაცნობიერებაა. თუ იგი სრულად ვერ გავაცნობიერეთ, მაშინ მშობელი ბრმა სიყვარულის წინაშე აღმოჩნდება. ბრმა სიყვარულის ზნეობრივ შედეგს კი მთელი სიგრძე-სიგანით მშობლები მაშინ გრძნობენ, როცა მოხუცდებიან, როცა უკვე გვიანია. შვილის წინაშე შეცდომის გრძნობა კი ყველაზე მტანჯველი განცდაა. ამიტომ გვირჩევდა ა. ს. მაკარენკო: თუ მშობლებს არ შეუძლიათ გააჩინონ მეორე შვილი, მაშინ აუცილებლად უნდა იშვილონ, რათა ის ერთი არ წახდეს და არც დაიჩაგროს.

ნეტავ, რას ეტყოდა დიდი პედაგოგი იმათ, ვინც სხვისი შვილის აყვანაზე კი არა, საკუთარის გაჩენაზეც კი უარს ამბობს.

**რ. ირემაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრება კეთილი, ლამაზი

ოთახში ნელ-ნელა სიბნელე შემოიპარა. მზის უკანასკნელმა სხივმა სავარძელში მჯდარი ჭაღარა მანდილოსნის რუხი ფერის კაბის კალთას ანაზდად გადაურბინა და გაქრა... ჩამოვარდნილ სიჩუმეში დიასახლისი წყნარად წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. „ჩემი ცხოვრება? — თითქმის ჩაიჩურჩულა... აბა რა გითხრათ! ჩვეულებრივი ადამიანის ჩვეულებრივი ცხოვრება გახლდათ, ვიყავი ერთგული მეუღლე და დედა... მიყვარდა ახლობლები, ჩემიანები, მეგობრები თეატრი, თუმცა დიდი ხელოვანი ვერ გავხდი... ერთი კი უდავოა: დღესაც მიყვარს ადამიანები, სიცოცხლე, ცხოვრებასთან, ბედთან ჭიდილი და მასზე გამარჯვება“...

ნინო ანდრონიკაშვილის ბავშვობა და ახალგაზრდობა ბედნიერი და ხსოვსანი იყო. განათლებული კახელი თავადის ოჯახში, გურჯაანის უმშვენიერეს გარემოში სამ ძმასთან ერთად ლაღად იზრდებოდა. დავით ანდრონიკაშვილი ხელგაშლილი და სტუმართმოყვარე ვაჟკაცი გახლდათ. მისი ოჯახი უყვარდათ, პატივს სცემდნენ გლე-



შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“
ფატი მაჭუტაძე — ნინო ანდრონიკაშვილი

ხები, ხშირად იკრიბებოდნენ მათთან ნათესავები. ნინოს დედა ჭავჭავაძის ასული, დიდი ილიას ნათესავი იყო. ერთხელ გოგონა სტუმრადაც წაიყვანეს ილია ჭავჭავაძის ოჯახში. დღესაც ახსოვს ეს შეხვედრა და დიდი მწერლის მამობრივი ალერსი.

ქალბატონი ნინო იგონებს ახალგაზრდობას, ნათესავებს, მეგობრებს. დიდ კინომსახიობებს — ნატო ვაჩნაძეს, თამარ ჭავჭავაძეს, კირა ანდრონიკაშვილს, სუხოდოლსკებს. რა მხიარული იყო მათი ოჯახი ზაფხულობით, რარიგ უყვარდა და ეხერხებოდა ცხენზე ჯდომა, ძმებთან შეჯიბრებული როგორ დაჰქროდა ალაზნის ჭალებში.

ადამიანის ხასიათის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის ალბათ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვობაში დაგროვილ შთაბეჭდილებებს. ნინო ანდრონიკაშვილს ბავშვობიდანვე ბევრი სიყვარული, სითბო გამოჰყვა, ამ სითბოს დღესაც ნიადაგ სხვებს უნაწილებს.

ოჯახში ბევრი წიგნი იყო და ნინოც ბევრს კითხულობდა, უყვარდა სოფელში საღამოობით გლეხებთან ჯდომა. ხალხური თქმულებების და ზღაპრების მოსმენა, სიმღერა-თამაში, რაშიც თვითონ პირველი იყო.

შემდეგ თბილისი, გიმნაზია, მღელვარებითა და დიდი ისტორიული ძვრებით სავსე წლები. ნინო თბილისში დასახლდა. დაუახლოვდა თეატრს, რომელიც იმ წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ადამიანთა ცხოვრებაში. კ. მარჯანიშვილის დადგმების არაჩვეულებრივმა წარმატებამ, ოპერის თეატრის სპექტაკლებმა გაიტაცა ახალგაზრდა ქალი. მეოცნებე, რომანტიკული ბუნება სულ უფრო და უფრო აახლოებდა, ეზიდებოდა თეატრისაკენ, და აი, 1932 წელს ჩაირიცხა ს. ახმეტელის სტუდიაში; ხარბად უსმენდა სათაყვანებელ მასწავლებელს... რამდენი ოცნება, უძილო ღამე თეატრზე ფიქრით გაუტარებია გოგონას; ჰქონდა რწმენაც და ეჭვიც: „ვაითუ, ვერ შევძლო!“ დიდი რეჟისორი სანდრო ახმეტელი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდობა, არწმუნებდა, „შესძლებ, შესძლებ, გაქვს ნიჭიო“. ბევრი მაღალნიჭიერი კოლეგა ჰყავდა გვერდით, ამიტომ კვლავ ეჭვი, ყოყმანი... რასაც უცნაური ღელვაც დაემატა. შეხვდა ხალგაზრდა, ლამაზი, ცეცხლოვანი ჭაბუკი ვანიკო აბაშიძე, შემდეგში რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი და ისინი შეუღლდნენ. ასე დაფუძნდა ეს ოჯახი და ასევე გრძელდება: — ჯერ სახელოვანი მამა. შემდეგ ასევე სახელოვანი შვილი დოდო აბაშიძე, მუდამ ყურადღებით ეპყრობოდნენ მეუღლისა და დედის რჩევებს... დღესაც რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. აბაშიძე ისე არ დაიწყებს როლზე მუშაობას, სცენარი დედას რომ არ წააკითხოს, მისი აზრი რომ არ მოისმინოს. ეს ალბათ იმიტომ, რომ სჯერა მისი დიდი გემოვნების, კულტურის, გამოცდილების.

1935 წელს ნინო ანდრონიკაშვილმა სტუდია დაამთავრა. ვანიკო აბაშიძე, მას შემდეგ რაც წარმატებით განახორციელა თორღვა „ლამარაში“, ხაფიჩია „სალტეში“, მეოთხე მეზღვაური „რღვევაში“, როლერი „ყაჩაღებში“, კომპოზიტორი „ნაბიჭვარში“ და სხვა, მოულოდნელად დანიშნეს ლანჩხუთის ე. ნინოშვილის სახელობის თეატრის მთავარ რეჟისორად. ძნელი იყო ეს ოჯახისათვის, რომელსაც როგორც შემოქმედებითი, ისე პირადი მეგობრობა აკავშირებდა ს. ახმეტელთან, თ. წულუკიძესთან. ამ მეგობრობისათვის ქ-ნ ნინოს არასოდეს უღალატია.

ლანჩხუთში, ახალ თეატრში გამოვლინდა ვ. აბაშიძის რეჟისორული ნიჭი. მან თავისი მოღვაწეობა შ. დადიანის „ნინოშვილის გურიით“ დაიწყო, სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად, მას მოჰყვა „შემოდგომის აზნაურები“, რომელშიც სოლომონის როლს თვითონ ვ. აბაშიძე ასრულებდა. ნინო ანდრონიკაშვილი უკვე დედა იყო და თითქმის ჩამოშორდა სცენას, მეუღლეს გვერდში ედგა, ეცნობოდა მის შემოქმედებითს გეგმებს. ვანიკო აბაშიძე აცნობდა თავის რეჟისორულ ექსპლიკაციებს, მიზანსცენებს, გმირთა ხასიათებს და ძალიან ხშირად, ღამე გვიანობამდე გრძელდებოდა მათი გატაცებული საუბარი...

საყვარელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქ-ნ ნინოს დიდი საფიქრალი და საზრუნავი დარჩა: პატარა შვილი, დედა, დედამთილი — კლდიაშვილების შტოს წარმომადგენელი, ეფრო კლდიაშვილის ქალიშვილი — ნუცა, ვანიკოს დედა, რომლისთვისაც რძალი საფიცარი არსება იყო, — ყველანი ნინოს ანაბარა დარჩნენ.

ამ წლებში ქ-ნი ნინო ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში მუშაობდა, სადაც ჩვიდმეტი როლი განასახიერა. მათ შორის მაყურებელმა და კრიტიკამ განსაკუთრებით მოიწონა ნენე („მზის დაბნელებაში“), მამიდა („აყვავებულ ბაღში“) და სხვა.

ჭეშმარიტი წარმატება ქ-ნ ნინოს ფატი მაჭუტაძის როლმა მოუტანა (შ. დადიანის პიესაში „ნაპერწკლიდან“). ამ როლის შესრულებაში, ნ. ანდრონიკაშვილს დიდად დაეხმარა გამოცდილება, იმ გარემოს ძირფესვიანად ცოდნა, რომელშიც მისი გმირი წარმოიშვა. — ბუნებრივი არისტოკრატიზმი, [illegible] მსახიობმა [illegible] და გადმოეცა გარეგნული მომხიბვლელობით დაფარული ანგარება, ცივი ეგოიზმი, ამპარტავნობა და ცინიზმი. ეს უთუოდ რთული და საინტერესო, სოციალურად მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე გახლდათ. სხვა საინტერესო სახეებიც შექმნა ქ-ნმა ნინომ, მაგრამ სცენას თავი დაანება, ბოლომდე არ გამოავლინა თავისი შესაძლებლობა. მუსიკალური კომედიის უფროსი თაობის მსახიობები დღესაც პატივისცემითა და უდიდესი სიყვარულით იგონებენ მას. ქ-ნი ნინოც დიდი სიყვარულით იხსენებს რეჟისორებს — მ. ჭიაურელს, დ. ძნელაძეს, ბ. გამრეკელს, გ. ფრონისპირელს... რამდენმა წელმა განვლო და ქ ნ ნინოს ყველა ახსოვს, ყველასათვის აქვს შემონახული კეთილი სიტყვა. ორი წელი ხელმძღვანელობდა ნ. ანდრონიკაშვილი ფილარმონიის საკონცერტო ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ ნ. ვაჩნაძე, თ. ჭავჭავაძე, კ. ანდრონიკაშვილი და სხვები. მათ მთელი საქართველო შემოიარეს და დიდი წარმატებით მარ-



კ. ბუაჩიძე — „ეზოში ავი ძაღლია“ — დოროთეა

თავდნენ კონცერტებს. კონცერტს ყოველთვის ქ-ნი ნინო უძღვებოდა და ახერხებდა კიდეც მაყურებლის დაინტერესებას, პროგრამის საინტერესოდ შედგენას.

დიდი სამამულო ომის წლებში განსაკუთრებით გამოვლინდა ნ. ანდრონიკაშვილის ორგანიზატორული ნიჭი: ის სათავეში ჩაუდგა საშეფო ბრიგადებს. კონცერტებს მართავდნენ ჰოსპიტლებში, ჯარის ნაწილებში, საწარმოებში. სწორედ ამიტომ ხვდა წილად რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის საპატიო სიგელები, მედალი „დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის“ და სხვა ჯილდოები.

დღეს მოსიყვარულე დედის სიამაყეა სახელმოხვეჭილი შვილი, თეატრისა და კინოს მსახიობი დოდო აბაშიძე.

დიდი მღელვარება გამოიარა ქ-ნმა ნინომ, როცა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე „ყაჩაღებში“ როლერის როლი, ვანიკო აბაშიძის შემდეგ, მისმა შვილმა დოდომ ითამაშა. დედას ხომ დოდო პატარაობიდანვე დაჰყავდა თეატრში და კულისებიდანვე აყურებინებდა მამის თამაშს. ახლა კი, როლერის როლმა ქ-ნ ნინოს ერთგვარად დაუბრუნა ახალგაზრდობა, მის წინაშე თითქოს აღსდგა უდროოდ დაკარგული მსახიობის — ვანიკო აბაშიძის სიცოცხლე, რომელიც ახლებურად და თავისებურად განაგრძო მისმა შვილმა დოდომ. ქ-ნმა ნინომ ეს ტკივილებითა და სიხარულით სავსე წუთები დიდი შინაგანი დაძაბულობითა და მღელვარებით გადაიტანა.

ნინო ანდრონიკაშვილი დღეს ხანდაზმული, ოთხმოც წელს გადაცილებული ბრძანდება, მაგრამ სულით ახალგაზრდა და კვლავ ენერგიული გახლავთ. მან დიდი ზრუნვა გამოიჩინა გურჯაანში ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის გახსნისათვის. ნატოს შვილები — ცნობილი კინორეჟისორები ელდარ და გიორგი შენგელაიები, ინჟინერი თენგიზ ვაჩნაძე ხშირი სტუმრები არიან თავიანთი უბერებელი დეიდისა.

მეგობრობა! დიახ, ამ ადამიანმა თავდადებული მეგობრობა იცის. მან შეაგროვა და თავი მოუყარა რუსთაველის თეატრის გარდაცვლილ მსახიობთა ბევრ დოკუმენტს, ყველაფერს აკეთებს მათი არდავიწყებისათვის. რა დიდი სათნოება და გულითადობა ჩაეღვრება ხოლმე თვალებში, როცა ქ-ნი ნინო დიდ სანდრო ახმეტელს იგონებს!

ქ-მა ნინომ დიდი და ლამაზი ცხოვრების გზა განვლო, მისმა ოჯახმა სამშობლოს აჩუქა ორი მშვენიერი ხელოვანი, თვითონ კი მუდამ ჩრდილში ყოფნას ცდილობდა, ხარობდა სხვისი წარმატებით, სხვისი სიხარულით...

...ოთახში ჩამობნელდა, ავანთეთ სინათლე... კედლებზე შვილის აფიშები და უამრავი ჯილდოა..... დოდო გადაღებაზეა, დედა კი წუხს: ნეტა როგორ არის, ხომ არაფერი სჭირდება. წუხს, მაგრამ არ იმჩნევს, როგორც ყოველთვის საოცრად ახალგაზრდა ღიმილი ანათებს მის სახეს...

**ნადია შალუტაშვილი,**
პროფესორი.

ყურადღება, ოჯახი!

# გაქცეული მამები

გაქცეული თუ ნაქცეული მამები... დიახ, ნაქცეულნი არც სიკვდილის წინაშე, არც ბრძოლის ველზე, არც ავადმყოფობასთან შერკინებულნი, არც მტერთან შეჭიდებულნი, არამედ სირცხვილთან, საკუთარ არარაობასთან, საკუთარ ავხორცობასთან ჩაჩოქილნი, პატივაყრილნი და დამცირებულნი...

მამაკაცს, რომელიც საკუთარ ოჯახს ტოვებს, სახლიდან გარბის, შვილებს ემალება, ერთგულ მეუღლეს ღალატობს და მიდის სად, ვისთან, ზოგჯერ თვითონაც არ იცის, უცხო გარემოში, უცხო ოჯახში, ალბათ, დიდი გრძნობა თუ პირიქით, უგრძნობლობა აიძულებს, თორემ ასე ხელაღებით როგორ უგულვებელყოფდა ყველაფერს...

ამ ბოლო დროს სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ახალშექმნილი, ერთ წლამდე ოჯახების რღვევა გაიზარდა. სოციოლოგები ამის ძირითად მიზეზად ქორწინებამდე ნაცნობობის მოკლე დროს ან, საერთოდ, ახალგაზრდების ოჯახისათვის მოუმზადებლობას თვლიან.

მაგრამ რა უნდა ვთქვათ ისეთ ოჯახებზე, როცა მეუღლეების ერთ ჭერქვეშ ყოფნის პერიოდი საკმაოდ დიდია (მაგალითად ათი, ოცი წელი) და მაინც ინგრევა!

აი, ასეთი წერილები დაგროვდა ჩვენს სარედაქციო ფოსტაში...

„მაქვს ოცდაერთი წლის ოჯახი. მყავს ორი შვილი. ვაჟი — უკვე სტუდენტია, გოგონა მეცხრე კლასშია. აქამდე ჩემი მეუღლე კარგი მამა, კარგი მეოჯახე მეგონა, ახლა კი დიდი უსიამოვნება დამიტრიალდა, ის საოცრად შეიცვალა, ნერვიული გახდა, ჩვენი აღარაფერი მოსწონს. ბოლოს გავიგეთ, რომ საყვარელი ჰყოლია, თავისზე საკმაოდ ახალგაზრდა ქალი. უნდა რომ შინ მოიყვანოს ჩვენს ოთხოთახიან ბინაში, რომელსაც წლების განმავლობაში ვრთავდი და ვალამაზებდი. უცებ მე და ჩემი შვილები ზედმეტი აღმოვჩნდით, თურმე მამას და მეუღლეს აღარ ვჭირდებით. მაგრამ სად წავიდეთ, სად გავუჩინარდეთ ისე, რომ მას არაფერი მოაკლდეს, არც შეწუხდეს, არც შერცხვეს ხალხის წინაშე. ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში გამოგვყარა (ცოლშვილი გამექცაო)! ჩემს მეგობარს შევაფარეთ თავი. მე ყველაფერს ავიტან, მაგრამ ვერ ვუძლებ ჩემი შვილის, ჩემი მოსწრებული ვაჟის ნერვიულობას, მის გამოხედვას, მის დარდს“... თ. კ.

შვილის ბარათი: „მე და ჩემი და პირველი კლასიდან ხუთოსნები ვართ. ეს დედაჩემის ღვაწლია. მისი კარგი ქალობაა ისიც, რომ დღემდე მამაჩემის ავკაცობას ვერ ვამჩნევდით, თორემ როგორ შეიძლება საკუთარი მამა უცებ ისე შეიცვალოს, სახლიდან გაგვყაროს და ქუჩაში დაგვტოვოს.

ჩვენ ღირსეული მამა არასდროს გვყოლია (ალბათ დედა გვიმალავდა მის ამბავს). მას არც ვუყვარვართ, არც ვეცოდებით, — არავითარი გრძნობა ჩვენს მიმართ არ გააჩნია..

ჩემს მდგომარეობას ამხანაგებს ვუმალავ, არ მინდა ინსტიტუტში ყველამ გაიგოს, რომ საკუთარმა მამამ ღვიძლი შვილები ისე გაგვიმეტა, ვიღაც ქალში გაგვცვალა. შვილები ობლებზე მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. უმამოს თავისი ობლობა არ ესირცხვილება, მე და ჩემი და კი ქუჩაში მხარჩამოვარდნილნი და შეურაცხყოფილნი დავდივართ“... დ. კ.

რა ეკუთვნის ასეთ მამას, რომელიც საკუთარ ცოლშვილს ისეთ უბედურებას მიაყენებს, ისე დაარბევს და დააკნინებს, რომ ოჯახის წევრთა შორის სითბოს ნასახსაც აღარ ტოვებს. ამ შემთხვევაში, მოსალოდნელია მოწიფულმა ვაჟმა მამას არ მოუთმინოს და შეურაცხყოფა მიაყენოს.

კიდევ ერთი ყურადსაღები ამბავი. მისი ავტორი ახალგაზრდა ქალია, რომელსაც თერთმეტი წლის ოჯახი დაენგრა, ოთხ შვილთან ერთად მიატოვა ქმარმა.

„თერთმეტი წლის ოჯახი, თერთმეტი წლის სიყვარული დამენგრა. დიდი გრძნობა მაკავშირებდა მე ჩემს მეუღლესთან. წავიდა და დამტოვა ოთხ შვილთან, გამწარებული და თვალცრემლიანი.

რატომ უნდა შემომყურებდნენ ჩემი პატარები, ჩემი ანგელოზები ასეთი სევდიანი თვალებით, რატომ უნდა ჩავვარდე დარდისაგან ლოგინში, მერე ვინ უპატრონებს, ვინ გაზრდის ჩემს შვილებს, დედისაგან და მამისაგან დაობლებულებს!

აი, კითხვები, რომლებიც არც მასვენებს და არც მაძინებს. მეათასედ ნატრულობს ჩემი ჭკვიანთვალება ბიჭი, ნეტავი არ გათენდებოდეს, სულ ღამე იყოს,

სიზმარში ვიყოთ და მერე მამაც მოვაო.

მე იმ ქალს მაშინ შევხვდი, როცა გავიგე, რომ ჩემი მეუღლე მასთან გადასასვლელად ემზადებოდა. ვთხოვე, ნუ დამინგრევ ოჯახს, ნუ ამიწიოკებ შვილებს, ნუ დაიდებ ჩვენს ცოდვას მეთქი. მდუმარედ მისმენდა და ტუჩებთან ირონიული ღიმილი უკრთოდა... მეორე დღეს ის ახალგაზრდა ქალი ცოლად გაჰყვა ჩემს მეუღლეს". მ. მ.

ვეკითხებით მ. მ-ს მეუღლის მეორე ცოლს:

ამბობენ, რომ თქვენ კაცის ჭკუა-გონებამ და მდგომარეობამ მოგხიბლათ, მისი მოხელთება ისურვეთ.

საკვირველია როცა გაიგეთ, რომ თქვენს მოწონებულ კაცს გარეგნობით მოხდენილი, ერთგული მეუღლე და ოთხი ანგელოზივით შვილი ჰყავდა, ნუთუ არ დაგაფიქრათ ამ ნაბიჯის გადადგმამ, თქვენ ხომ ხუთ ადამიანს აუბედურებდით!

დარწმუნებული ხართ, რომ მომავალში თქვენი შვილებიც იმ მიტოვებული ბავშვების როლში არ აღმოჩნდებიან?

ზოგიერთი კაცი იოლად უყურებს ოჯახის დანგრევას, არ ერიდება მრავალცოლიანობას, სდევნის უდანაშაულო ცოლშვილს და სულაც არ ფიქრობს შვილების მომავალზე, მათს ხვალინდელ დღეზე.

შვილების სიყვარული ხომ ყველა სიყვარულზე ძლიერია, განუმეორებელია და აუწონელი. შვილების აღზრდა, მათ მომავალზე ზრუნვა მშობლების ვალია. როცა მამა ამ მოვალეობას გაურბის, სწორედ მაშინ ხდება, რომ უყურადღებოდ მიტოვებული, გარდატეხის ასაკის ბავშვები გზას ასცდებიან და მომავალში ცუდი ადამიანები, დამნაშავეები ხდებიან. დიახ, მათი ცხოვრების გზის გამრუდებაში ხშირად მამის გატაცებებსა და ოჯახიდან გაქცევას უდევს წილი.

ეს საკითხი ძალზე რთულია, არ ძალგიძს ყოველი მხრიდან ჩაიხედო იმ კაცის გულში, რომელიც ასე უსულგულოდ ეკიდება მეუღლის, მამის მოვალეობას, უკანმოუხედავად ტოვებს ოჯახს. არის შემთხვევები, ქალებიც სცოდავენ და თავიანთი უხასიათობითა და პრეტენზიებით ხელს უწყობენ კაცის სახლიდან გაქცევას, არის ისეთი შემთხვევებიც, ქალებიც ტოვებენ ოჯახს, შვილებს... ფხიზლდებიან გვიან, ძალზე გვიან, მაგრამ დანგრეული ბუდის აღდგენა არც ისე იოლია. ასეთი დედები კიდევ უფრო მეტ გაკიცხვას იმსახურებენ, მაგრამ ეს ცალკე საუბრის საგანია.

ჩვენ მამების ვინაობის გამომჟღავნებას მოვერიდეთ, იმიტომ კი არა, რომ ხელს ვაფარებთ მათს ქცევას, არა, ჩვენ მოვერიდეთ ბავშვებს, რომ მათ ისედაც ნატკენ პატარა გულებს ახალი ტკივილი არ მივაყენოთ.

მახვილი თვალი წაიკითხავს ამ სტრიქონებს და თვით განსჯის, ვის რაში მიუძღვის ბრალი. ოჯახი მყარ საფუძველზე იქმნება და საძირკვლის გამოცლა არც მამას ეპატიება, არც დედას, რადგან მათ წინ დიდი კედელია — შვილების კედელი, რომელთაც აღზრდა სჭირდებათ. აღზრდის ქვაკუთხედი კი მშობელია. და განა უფლება აქვთ ეს დიდი მოვალეობა გულგრილად მოიცილონ ზოგიერთმა მამამ, ზოგიერთმა დედამ?

**ირმა ჩოფიკაშვილი**

**მარიკა გარათაშვილი**

ბელგოროდის პირველი სატვირთო ავტოტრანსპორტის მძღოლმა ე. რომანენკომ კარგა ხანია შენიშნა მამალი შოშია, რომელიც ყოველთვის აცილებს გარაჟიდან გასვლისას და დაბრუნებისას, ხვდება მის მანქანას და როგორ გაოცდა მძღოლი, როდესაც მანქანის ფურგონის უკანა ნაწილში, გაბარიტული ფარნების ღრმულში ბუდე, ბუდეში კი დედა შოშია აღმოაჩინა.

დილაადრიან, სამუშაო დღის დაწყებამდე მამალი შოშია კვებავს და სიმღერით ართობს დედალს, რომელიც ამჟამად ბარტყების გამოსაჩეკად ზის ბუდეზე. სანამ მომავალი „დედა" მანქანით ქალაქში დასეირნობს, მას „მამა" გარაჟში ელოდება.

**გაზეთებიდან**

## ოდა შოშიას

ვფიქრობ და ნათდება კადრი...
(ასეთი ნამდვილად მეგულება!)
შოშიასაც სცოდნია ყადრი
ოჯახის, ცოლ-ქმრული ერთგულების.

მისთვის ის გარაჟი მნათობს
მანქანის ღრმული და ბუდე,
სად მისი გულსწორი მარტო
ზის, ღამეს მომავალს უთევს.

შოშია შრომობს და ომობს,
კაცთათვის ჩვეული სტილით,
მან უნდა არჩინოს ცოლი
და შემდეგ უმწეო ჩვილიც.

მე მისას ვერ ვიტყვი ცოდვას,
გარაჟთან დილიდან მღერის.
სიმღერით ევლება ცოლს და
ხვდება და აცილებს რეისს,

მე ასეთ კაცობას ვაქებ,
ვინც ფასი მამობის იცის,
ვინც ციცქნა შოშიაც, აგერ,
გახადა ამ ოდის ღირსი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკორწმინდა

შენ, ფრთამოლულუნეს ჟამთა
სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე გიცავს, უახლესი:
მძლავრი ხელოვნება, ხალხის
ხელოვნება —
ბრწყინავს საქართველოს ქებად
ნიკორწმინდა!

გალაკტიონი.

საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში — რაჭაში, ამბროლაურიდან ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე, ნაქერალას უღელტეხილის მახლობლად, მცირე შემაღლებაზე აღმართულა ნიკორწმინდის ტაძარი, რომელიც თავს დაჰყურებს ამავე სახელწოდების კოპწია სოფელს.

ტაძარი XI საუკუნის პირველ მეოთხედში აგებული, რაც დასტურდება ასომთავრული ასოებით ამოკვეთილი წარწერით, რომელიც დასავლეთის შესასვლელის თავზეა მოთავსებული. წარწერაში მოხსენიებულია გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატი, „აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კუროპალატი“ ე. ი. ბაგრატ მესამე და მისი ვაჟი გიორგი. როგორც ირკვევა, წარწერა ბაგრატ III მეფობის უკანასკნელ წლებს მიეკუთვნება (1010-1014). სწორედ ამ წლებშია დამთავრებული ნიკორწმინდის ტაძრის ძირითადი ნაწილი, ხოლო სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები, აგრეთვე სამხრეთის ექვტერი — სამლოცველო XI საუკუნეშივეა დამატებული, ოღონდ მოგვიანებით.

ნიკორწმინდის ტაძარი ექვსაფსიდიანი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. მის გეგმაში აფსიდები შუა სივრცის გარშემო სხივისებადაა გაშლილი. დასავლეთის მკლავი აქ სწორკუთხოვანია, ხოლო საკურთხევლის აფსიდისა და დასავლეთის მკლავის გვერდით დამატებით სადგომებია შექმნილი. შინაგანი სივრცის ეს რთული გეგმა გარეგანი მასების სწორკუთხა-ჯვრისებრ მოხაზულობაშია მოთავსებული, რითაც ტაძრის გარეგნობა XI საუკუნეში გავრცელებული ტაძრების ტიპს უახლოვდება.

შენობის გარეგნობა რამდენადმე მძიმეა, განსაკუთრებით გუმბათის ყელის მასიურობის გამო. მაგრამ ორნამენტაციის სიუხვე, მრავალფეროვნება და შესრულების სინატიფე ძეგლს მძლავრ ემოციურობას ანიჭებს. „ნიკორწმინდის ფასადები და ექვტერები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია დამახასიათებელი და ისტორიულ-ევოლუციური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებებით: აქ არის წმინდანთა გამოსახულებები, მრავალ ფიგურიანი სცენები (მაგ., „ფერისცვალება“, „მეორედ მოსვლა“, „ჯვრის ამაღლება“), რეალური და ფანტასტიკური ცხოველები. მაგრამ ეს ცალკეული დამოუკიდებელი სამკაულები კი არ არის, არამედ ერთი მთლიანი, წინასწარ გააზრებული პროგრამის შემადგენელი ნაწილებია. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ტაძართა სკულპტურული გაფორმება ნიკორწმინდაში მწვერვალს აღწევს“. (აკად. ვ. ბერიძე).

როგორც სათანადო კვლევითმა მუშაობამ დაამოწმა, ტაძრის ორნამენტზე რამდენიმე ოსტატს უმუშავია. ეკლესია შიგნიდან მოხატულია. ისე, როგორც ამ დროის არა ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი, თავისი გრძელი და ქარიშხლიანი არსებობის მანძილზე ნიკორწმინდის ტაძარში მთელი რიგი გაახლება-შეკეთების ობიექტი იყო.

1634 წელს შენობა განუახლებია იმერეთის მეფე ბაგრატ მესამეს. განსაკუთრებულ ინტერესს კედლის მხატვრობიდან იწვევს XVII საუკუნის ისტორიულ პირთა პორტრეტები.

რაც შეეხება ნიკორწმინდის მახლობლად მდებარე სამრეკლოს, იგი XIX საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

ნიკორწმინდის შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები მხოლოდ ჩვენ დროში განხორციელდა, რასაც თავისი ღირსეული ადგილი მიეკუთვნება ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში.

ირაკლი ზაქარიაშვილი

# ზოგი რამ სტაფილოს შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტაფილო ოდითგანვე ცნობილი ბოსტნეულია, რომელიც ბევრ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს. ორგანიზმი მას ადვილად ითვისებს. ამიტომაც სტაფილო უხვად გამოიყენება ბავშვთა, სამკურნალო და რაციონალური კვებისათვის. სტაფილო ძირითადად იმიტომ არის საუცხოო საკვები, რომ ბლომად შეიცავს კაროტინს, რომელიც პროვიტამინების ჯგუფს მიეკუთვნება. პროვიტამინები კი ისეთი ნივთიერებებია, რომლებიც ორგანიზმში ვიტამინებად გარდაიქმნება. კაროტინი ვიტამინ A-ს პროვიტამინია.

სტაფილო, კაროტინის გარდა, $B_1$, $B_2$, $B_6$, PP, C, E და სხვა ვიტამინებსაც შეიცავს, მდიდარია მინერალური მაკრო და მიკროელემენტებით: რკინითა და კობალტით. აი რატომ იყენებენ მას სისხლნაკლებობის დროს. ამის გამო, რუსული ანდაზაც კი არსებობს: «От моркови — больше крови»

კალიუმის მარილის სიუხვე და ნატრიუმის მარილის სიმცირე ხელს უწყობს დიურეზის (სითხის გამოყოფის) გაძლიერებას. თუ სხვა საკვებთან ერთად არც სტაფილოს დავივიწყებთ, ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ორგანიზმში ვიტამინის ნაკლებობის დროს, აგრეთვე თირკმლების, ღვიძლის დაავადებათა და ყაბზობის წინააღმდეგ. სტაფილო კარგად მოქმედებს კანსა და თმაზე, რის გამოც მას კოსმეტოლოგიაშიც იყენებენ. რაკი სტაფილო უხვად შეიცავს კაროტინს, რომელიც ხელს უწყობს სხეულის ზრდასა და სწორ განვითარებას, განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის. თვალის დაავადების დროს სტაფილოს გამოყენებასაც კაროტინის შემცველობა უდევს საფუძვლად.

წყლულოვან დაავადებათა და ენტეროკოლიტის დროს, სტაფილოს მიღება სასურველი არ არის.

სტაფილოს ჭამა უმადაც შეიძლება და მოხარშულ-შემწვარიც.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ის ორივე შემთხვევაში ინარჩუნებს ძვირფას თვისებებს და ზოგჯერ უფრო სასარგებლოც კია. ყაბზობის დროს უმჯობესია სტაფილო უმი მივირთვათ, რადგან მისი ღეჭვა ხელს უწყობს ნაღვლის გამოდენასა და საკვების უკეთ შეთვისებას, კუჭ-ნაწლავში გადასვლის შემდეგ კი უმი სტაფილო იწვევს პერისტალტიკის გაძლიერებას და ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდენას.

მეორე მხრივ, უმი სტაფილოს უჯრედოვან გარსში შემავალი პროტოპექტინი (პოლიგალაქტურონული სიმჟავეების რთული კომპლექსი) წყალში არ იხსნება და ორგანიზმი მას ვერ ითვისებს. თერმული დამუშავების დროს კი პროტოპექტინი თხევად შენაერთად — პექტინად გარდაიქმნება, რომელსაც ქოლესტერინის, მძიმე ლითონების მარილებისა და სხვა მომწამვლელი პროდუქტების შთანთქმა შეუძლია. ამის გარდა, პექტინი კარგად მოქმედებს ნაწლავების მიკროფლორაზე და ლორწოვან გარსზე. მოხარშული სტაფილო გაცილებით მეტ პექტინს შეიცავს, ვიდრე სხვა რომელიმე ბოსტნეული. კაროტინის უკეთ ასათვისებლად სასურველია სტაფილო ცხიმთან ერთად მოიხარშოს ან მოიშუშოს, რადგან აღნიშნულ ნივთიერებას ის მკვრივი უჯრედის სახით შეიცავს, გაცხელებისას ეს უჯრედები იშლება, ცხიმი კი ხელს უწყობს ნაწლავების მიერ მის შეწოვას. რაც შეეხება უმ სტაფილოს — სასურველია (გახეხილსა და წვენს) ჭამის წინ მოვასხათ არაჟანი ან ჩავუმატოთ რაიმე სხვა ცხიმი. სტაფილო ძალიან სასარგებლოა მეძუძური დედებისა და ჩვილი ბავშვებისათვის.

თუ სტაფილოს წვენს ცოტა ლიმონის, გრეიფრუტის ან ფორთოხლის წვენს დავუმატებთ, ეს მას უფრო გემრიელს გახდის და გაამდიდრებს „C“ ვიტამინით, რომელსაც სტაფილო არ შეიცავს. კარგი იქნება, თუ ამავე მიზნით უმი სტაფილოს სალათასა და საუზმეს კომბოსტოს, ვაშლს, ოხრახუშსა და ციტრუსოვანთა წვენსაც დავუმატებთ, სტაფილოს კერძები გემრიელი და სასარგებლო იქნება, თუ მაიონეზს, არაჟანს ან ზეთს მოვასხამთ.

## რჩევები

მთლად გაახლდება თუ ძველ ფუნთუშებს დასველებულ სუფთა ქაღალდში გაახვევთ, ხოლო პურის შემხმარ ნაჭრებს ფოლგაში მოათავსებთ და 5 წუთს წინასწარ გახურებულ ღუმელში შედებთ.

* * *

ვიდრე ქიშმიშს ცომში ჩადებდეთ, ცოტა ხანს რომში ან კონიაკში გააჩერეთ.

* * *

ლამბაქებზე ნაყინს რომ დადებთ, ზემოდან ხილით მორთეთ და ორთქლზე გამდნარი შოკოლადი მოასხით.

* * *

კრემს ცეცხლიდან რომ გადმოდგამთ, დაფქული ყავა მერე დაუმატეთ.

ვიდრე ყავა ადუღდებოდეს, ერთი კოვზი კაკაო დაუმატეთ.

* * *

წყალს, რომელშიც ღომის ფქვილი უკვე იხარშება, ერთი ჭიქა რძე და ერთი სუფრის კოვზი საჭმლის ზეთი დაუმატეთ.

* * *

მოხარშული, გაციებული ბრინჯი ორთქლზე და თავდახურულ ჭურჭელში უნდა გაცხელდეს.

* * *

სალათი შეკაზმეთ წინასწარ გამზადებულ 4 წილი ზეთისა და 1 წილი ძმრის ნაზავისაგან, რომელშიც მარილიც არის გახსნილი.

ახალგაზრდა დიასახლისებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვანე ლობიოს კერძები

## აჯაფსანდალი მწვანე ლობიოთი

სამი-ოთხი დიდი თავი ხახვი წვრილად დაკეპეთ და ზეთში მოშუშეთ; ნახევარი კილო დამტვრეული მწვანე სარის (ქონა) ლობიო, 700 გრამი გაფცქვნილი, დაჭრილი კარტოფილი (სასურველია ახალი), კამა, ოხრახუში, რეჰანი, მწვანე პილპილი (შეიძლება ბულგარულიც) მოშუშულ ხახვს ზემოდან დააყარეთ და ერთხანს შუშეთ, ვიდრე კარტოფილი და ლობიო არ შერბილდება; დრო და დრო ურიეთ. შემდეგ დაუმატეთ $1\frac{1}{2}$-2 კგ. გაფცქვნილი, დაჭრილი (შეიძლება აჭყლიტოთ კიდეც) პამიდორი და განაგრძეთ ხარშვა. გადმოდგმის წინ მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი.

## მწვანე — პარკი ლობიო არაჟნით, ზეთით ან მაიონეზით

ბოლო წლებში ძალიან გაძვირდა ნიგოზი. დიასახლისები პრაქტიკამ დაარწმუნა, რომ რიგ შემთხვევაში ნიგოზს მშვენივრად ცვლის არაჟანი, ზეთი ან მაიონეზი.

მწვანე სარის (ქონა) ლობიო დაამტვრიეთ, გარეცხეთ და ჩაყარეთ წინასწარ ადუღებულ ცოტაოდენ წყალში (წყალი ლობიოს მესამედზე უნდა შემოადგეს), ხუფი დაახურეთ და მოხარშეთ. წყლის სიმცირე ნუ შეგაშინებთ — ლობიო, თუ კარგია, თითქმის ორთქლში უნდა მოიხარშოს.

დაჭერით ოხრახუში, ნიახური, ქინძი, რეჰანი, ქონდარი და თასზე დაყარეთ. როცა ლობიო მოიხარშება — კარგად დარბილდება, თუშფალანგში წამოაპირქვავეთ და სასწრაფოდ, როგორც კი წყლისგან დაიწრიტება (ხელით გაწურვა არ უნდა), ცხელ-ცხელი დააყარეთ თასზე გამზადებულ მწვანილს, ზემოდან კი მოზრდილი ქვაბის ხუფი დააფარეთ, ვიდრე გაგრილდებოდეს, დანაყეთ 5-6 კბილი ნიორი, ქინძი (სასურველია, უკვე თესლიანი), მწვანე წიწაკა, ქონდარი, რეჰანი („ყაშკვლავი"). შემდეგ შეგრილებული ლობიო მწვანილიანად ხელით კარგად გაწურეთ და აურიეთ (აჭყლიტეთ) ზემოთაღწერილ დანაყილ საკმაზსა და 200 გრამ არაჟანში ან 100 გრ. ზეთში ან ერთ ქილა მაიონეზში (თუ გაქვთ 100 გრ. დანაყილ ნიგოზში), სუფრაზე მიტანის წინ შეგიძლიათ მოაყაროთ დაჭრილი მწვანილი.

## მწვანე — პარკი ლობიო პამიდვრით

ერთი კგ ბრტყელი ქონა (სარის) ლობიოს ბოლოები (კუდები) მოაცალეთ და გარეცხეთ; ზეთში ან ერბოში მოხრაკეთ 2-3 დიდი თავი წვრილად დაჭრილი ხახვი, შემდეგ დააყარეთ ლობიო და შუშეთ დარბილებამდე, ეცადეთ ლობიო არ გადაგეხარშოთ, არ აიზილოს და მთელ-მთელი ფორმა შეინარჩუნოს; შემდეგ ზემოდან დაასხით სახეხზე გახეხილი 1 კგ მწიფე პამიდორი, დააყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში, ნიახური, რეჰანი, ქონდარი, მწვანე წიწაკა და 3-4 კბილი ნიორი. ადუღეთ სულ ხუთი წუთი და ცეცხლიდან გადმოდგით. გახსოვდეთ, ლობიო არ უნდა აიზილოს.

## მწვანე პარკი ლობიო — კვერცხით

ერთი კგ სარის ლობიო დაამტვრიეთ, გარეცხეთ და რამდენი წყალიც შეყვება (შეგიძლიათ, ერთი ჭიქა წყალიც დაუმატოთ) ისე მოხარშოთ ორთქლში. ცალკე, ღრმა ტაფაში მოხრაკეთ 2-3 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი, ზემოდან დააყარეთ უკვე მოხარშული ლობიო, წვრილად დაჭრილი ქინძი და 5-10 წუთს განაგრძეთ შუშვა, თან დროდადრო ურიეთ. შემდეგ ათქვიფეთ 2 ცალი კვერცხი და ჩაასხით (აურიეთ), ზემოდან მოასხით ცალკე ათქვეფილი კიდევ ორი კვერცხი და განაგრძეთ შუშვა (აღარ მოურიოთ) — ან შედგით ცხელ ღუმელში (უთავსახუროდ). როცა კვერცხი ზემოდან თავს მოიკრავს, შემაგრდება, გადმოდგით. ბრტყელი დანა მოიშველიეთ (ქვემოდან ამოუდეთ) და ისე გადმოაცურეთ ფრიალო თეფშზე ან ლანგარზე, რომ ფორმა არ დაკარგოს. სუფრაზე ცხელი უნდა მიიტანოთ.

## ლობიო ცხვრის ხორცით

ერთი კგ მსუქანი ცხვრის ან ძროხის ხორცი მომცრო ნაჭრებად დაჭერით, კარგად გარეცხეთ და საშუალო ცეცხლზე შედგით. როცა ხორცი დარბილდება, წყალი ამოშრება (თუ წყალი ამოშრა და ხორცი არ მოიხარშა, ცოტა მდუღარე დაუმატეთ), და ხრაკვას დაიწყებს, დაუმატეთ 3-4 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი და დაბალ ცეცხლზე ხრაკვა განაგრძეთ, თან, რომ არ მიგეწვათ, დრო და დრო კარგად ურიეთ. როცა ხახვი დარბილდება დაუმატეთ 400 გრამი გარეცხილი, დარჩეული და დამტვრეული მწვანე ლობიო, ჩაუმატეთ ნახევარი ჭიქა მდუღარე წყალი, ქვაბს ხუფი დაახურეთ და ნელ ცეცხლზე ხარშეთ. მწვანე ლობიო რომ მოიხარშება, ჩაუმატეთ ცალკე თასზე მომზადებული 700 გრ კანგაცლილი დაჭყლეტილი ან გახეხილი მწიფე პამიდორი, ერთი კონა ქინძი, ოხრახუში, რეჰანი, ნიორი (5 კბილი) და მწვანე წიწაკა (შეიძლება ბულგარულიც), ადუღეთ 5 წუთს და გადმოდგით ცეცხლიდან. მიტანის წინ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ცოცხალი მწვანილი.

ნ. სიმონიძე

# ადამიანი რომ ჯანმრთელი იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედავ, ისმინე...

ამ ბოლო ხანს ძალიან მომრავლდნენ მწეველი ქალები. ქალის ორგანიზმი კი მეტად მგრძნობიარეა ნიკოტინით მწვავე, ქრონიკული მოწამვლისადმი.

სხვა მავნე ნივთიერებებთან (ასეთი კი 500-მდეა) ერთად ნიკოტინი შხამავს არა მარტო დედას, არამედ ნაყოფსაც: ამიტომაც ფეხმძიმობის პერიოდში და ძუძუს წოვებისას თამბაქოს წევა ძალიან სახიფათოა: პლაცენტა ნიკოტინსა და მხუთავ გაზს ვერ უღობავს გზას, ეს უკანასკნელნი დედის სისხლძარღვთა სისტემიდან ნაყოფზე გადადის, რის შედეგადაც ბავშვი პასიური მწეველი ხდება.

მწეველ ქალებს გაცილებით ხშირად ხწყდებათ მუცელი, ვიდრე არა მწეველთ, ასევე ხშირად მათი ბავშვები ნაკლები წონისანი იბადებიან, რაც იმით აიხსნება, რომ მწეველი ქალის პლაცენტა მცირე ზომისაა და ნაყოფი ნორმალურად ვერ ვითარდება.

თუ წოვების პერიოდში დედა თამბაქოს ექაჩება, ნიკოტინის ნაწილი რძეში გადადის, რასაც ჩვილის ქრონიკული მოწამვლა მოსდევს. დედის რძეს აკლია ვიტამინი C.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, მწეველი ქალების შვილები შვიდი წლის ასაკამდე ჩამორჩებიან, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად. ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე დიდი პროცენტიც ასეთ ბავშვებზე მოდის.

ნიკოტინი მოქმედებს ქალის სქესობრივ ფუნქციაზეც, რასაც ფრიგიტულობამდე (სქესობრივ გულგრილობამდე) მიჰყავს იგი.

მწეველი ქალები ადრე ბერდებიან, სახის კანი უშრებათ, უნაოჭდებათ, ცუდი ფერი ადევთ. თუ ყოველივე ამას იმასაც დავუმატებთ, რომ პირიდან ცუდი სუნიც ამოსდით, საბოლოოდ დავრწმუნდებით რა დიდ სიხარულსა და მომხიბვლელობას კარგავს ქალი იმით, რომ ვერაფრით ვერ ამბობს უარს თამბაქოს წევაზე.

## ყელის მოვლა

სახის მოვლისას, არც ყელი უნდა დავივიწყოთ. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ყელის კანი სახისაზე გაცილებით ნაზია. სწორედ ამ მიზეზით ასაკი ქალებს ყველაზე ადრე ყელზე შეემჩნევათ ხოლმე. ყელის კანი რომ ელასტიკური, მკვრივი და ახალგაზრდული გქონდეთ, მას დღეში რამდენიმე წუთი მაინც დაუთმეთ: იძინეთ დაბალ, ბრტყელ ბალიშზე; სიარულისას ეცადეთ ნიკაპი ზევით ასწიოთ; შეასრულეთ ვარჯიშები, რომლებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ; ყელის კანი იმავე ლოსიონითა და კრემით გაიწმინდეთ და კვებეთ, რომლებიც სახისათვის გაქვთ გათვალისწინებული.

კვირაში ერთხელ ან ორჯერ სასურველია გაიკეთოთ ცხელი კომპრესი: დაასველეთ პირსახოცი ცხელ წყალში, კარგად გაწურეთ და 20 წუთით ყელზე შემოიხვიეთ. შედეგი უფრო ეფექტური იქნება, თუ წყლის მაგივრად ცაცხვის ყვავილის ცხელ ნახარშს ან თბილ ადუღებულ რძეს გამოიყენებთ.

### ვარჯიში

1. ზურგი გაასწორეთ და თავი ნელა წინ დახარეთ, ვიდრე შვიდამდე არ დაითვლით. ასევე დააბრუნეთ თავი საწყის მდგომარეობაში.

2. ნიკაპქვეშ მუშტი ამოიდეთ, მაგრად დააწექით და, სულ ცოტა, შვიდ დათვლამდე, თავი მარჯვნივ და მარცხნივ აბრუნეთ.

3. დაწექით მუცელზე, ნიდაყვებზე დაყრდნობით თავი ზევით ასწიეთ, ჩაისუნთქეთ და ბოლომდე მაგრად გაიზნიქეთ. გაიმეორეთ შვიდჯერ.

4. ნიკაპის და ყბების კანი დაიზილეთ ხელების ზურგების ქვემოდან რტყმით (ტყაპუნით).

5. დადექით სწორად, ხელები დაიწყვეთ თეძოებზე. ყელი წინ წასწიეთ და თავი მარჯვნივ-მარცხნივ აბრუნეთ. გაიმეორეთ შვიდჯერ.

6. თანმიმდევრობით გაიმეორეთ ბგერები „ო" და „ე". „ო"-ს თქმისას ბაგეები მაგრად გამობერეთ, ხოლო „ე"-ს თქმისას აქეთ-იქით გასწიეთ.

გაიმეორეთ რამდენჯერმე.

გარეკანის პირველ გვერდზე — დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ზანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქ ტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5.V. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.VI. 83 წ. ქაღალდის ზომა 60×1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. 8.

ტირაჟი 127.560. შეკვ. 1241. უე 09275

# კოხტად გამოწყობილი ბავშვი

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორ გვსიამოვნებს, როცა ბავშვები კოხტად, ლამაზად, სადღესასწაულოდ არიან გამოწყობილი! დიახ, ბავშვის მოდაც არსებობს, რომელიც ხშირად მოზრდილების მოდაზეც კი ახდენს გავლენას. აი, თუნდაც დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი, რომელსაც ახლა დიდებიც სიამოვნებით ვიცმევთ, „მატროსკები", შარვლები — ყოველივე ეს ხომ ბავშვებიდან გადმოვიღეთ. სამაგიეროდ, დიდების მოდის ტენდენცია პატარების ტანსაცმელზეც ვრცელდება. ყველაზე უწინ ეს ეხება კომბინირების პრინციპებს, როდესაც სხვადასხვა ტანსაცმელს ერთმანეთთან ფაქტურით, ფერითა და მოჩითულობით ვახამებთ; წელს მოდურია ერთფერი, უჯრედებიანი, ზოლებიანი და პაწია ყვავილებით, რტოებით, პეპლებით, ზღვის მოტივებით მოჩითული ქსოვილები.



ტრადიციული პალტო განდევნა ქურთუკმა, მსუბუქმა საწვიმარმა ქურთუკმა, რომელიც დალიანდაგებულია, სინთეტური ბეწვი უდევს ანდა „დაბერილი" ფორმა აქვს. ქურთუკები კარგად ესადაგება კომბინეზონებს, შარვლებს, თეძოებთან გაგანივრებულ იუბკაშარვლებს, რომელთაც წელთან რეზინი ან ნაკეცები აქვთ დაყოლებული. შარვალს ქვემოთ რეზინი აქვს გაყრილი ან მანჟეტით მთავრდება; შარვლებს იცმევენ ასევე სვიტრებთან, ღია ფერის ქუდთან, ასევე ღია ფერის შარფთან და გეომეტრიულ ორნამენტებიან ან ზოლიან წინდებთან ერთად. რაც შეეხება ჟილეტებს და ყოველგვარ უსახელო მოსაცმელებს, ისინი შეიძლება ნაქსოვიც იყოს და სხვადასხვა ქსოვილისგანაც შეიკეროს.





კაბებსა და კოფტებს იცმევენ დიდი მოსახსნელი საყელოებით, რომლებსაც იმავე ან თეთრი რეპსის, ატლასის, პიკეს და სატინის ქსოვილებისაგან კერავენ. კაბებსა და კოფთებს კიდევ რთავენ ნაოჭებით, არშიებით, ნაკეცებით, პლისეთი, ზოგჯერ კი ნაქარგით. საყელოს ბოლოზე აყოლებენ ვიწრო ლენტებს, რომელიც ღილთან ან ბაფთით იკვრება.

ნ. კოზლოვა,
ხელოვნებათმცოდნე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76178

ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

6
1983